www.24saati.ge

24 საათი

The New York Times
International Weekly
ყოველ სამშაბათს

© გაზეთი 24 საათი | პარასკევი, 30 აგვისტო, 2013 წელი. | №3354 (161) | ფასი 50 თეთრი

ჭელას მინარეთი დასაწყობდება და დაილუქება

მარი ახსიაშვილი

ადიგენის რაიონის სოფელ ჭელას მინარეთი დასაწყობდება და დაილუქება. ამის შესახებ საქართველოს საპატრიარქო და მუსლიმთა რელიგიური ლიდერები შეთანხმდნენ. ერთობლივი განცხადების მიხედვით, მინარეთი ნეიტრალურ ადგილზე დაილუქება და მას სახელმწიფო დაიცავს. დეკანოზ დავით შარაშენიძის თქმით, მინარეთი მანამ არ აღდგება, სანამ საკანონმდებლო ბაზა არ მოწესრიგდება და საპატრიარქოსა და მუსლიმთა სამმართველოს შორის მოლაპარაკებები არ შედგება.

გაგრძელება
მე-3 გვერდზე

ერთი წელი ლაფანყურის სპეცოპერაციიდან

ბოლო წლებში საქართველოში ჩატარებული ყველაზე გახმაურებული სპეცოპერაციიდან ერთი წელი გავიდა.

ზუსტად ერთი წლის წინათ ლაფანყურში, ოფიციალური მონაცემებით, 11 შეიარაღებული პირის ლიკვიდაცია მოხდა, რომელთაგან შვიდი დუისის სასაფლაოზეა დაკრძალული. რამდენიმე თვის წინ მათ ცხედრებს ექსპერტიზა განმეორებით ჩაუტარდა.

გარდა ამისა, სპეცოპერაციის დროს დაიღუპნენ სპეცრაზმის თანამშრომლები არჩილ ჩოხელი და სოლომონ წიკლაური და სამხედრო ექიმი ვლადიმერ ხვედელიძე.

გაგრძელება
მე-2 გვერდზე

მსოფლიო სირიის დაბომბვის მოლოდინში

ივა შილაკაძე

სირიის მმართველი რეჟიმის წინააღმდეგ ძალის გამოყენების გადაწყვეტილება ჯერ ოფიციალურად არავის გამოუცხადებია, მაგრამ მსოფლიოს სხვადასხვა სახელმწიფოების პოლიტიკოსთა და ექსპერტთა კომენტარებს უკვე ეტყობა, რომ საჰაერო დარტყმებამდე დიდი დრო აღარ დარჩა. ეს შეიძლება, უკვე დღეების ან სულაც საათების ამბავია.

გაგრძელება
მე-4 გვერდზე

პირველი ვერცხლი

ჭრიკიშვილმა პირველი ვერცხლი მოიპოვა

რიო დე ჟანეიროში მიმდინარე ძიუდოისტთა მსოფლიო პირველობაზე გუშინ მედლები 81-კგ წონით კატეგორიაში გათამაშდა. წარმატებით იასპარეზა საქართველოს ნაკრების ფალავანმა, ევროპის ჩემპიონმა ავთანდილ ჭრიკიშვილმა, რომელმაც გუნდს პირველი მედალი მოაპოვებინა. ავთანდილმა დამაჯერებლად გაიკვალა ფინალისკენ გზა. ნახევარფინალში მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონ რუს ნიფონტოვს სძლია და ფინალში მისი მეტოქე ფრანგი პიეტრი აღმოჩნდა. ავთანდილმა კარგად დაიწყო შეხვედრა და მეტოქეს ქულა აართვა, მაგრამ შემდეგ მის ილეთზე წამოეგო და ფრანგი ვაზარით დაწინაურდა. დარჩენილი დრო ქართველი ფალავნის უპირატესობით წარიმართა. მან მეტოქეს სამი გაფრთხილება კი მიაღებინა, მაგრამ გამარჯვებისთვის ეს საკმარისი არ აღმოჩნდა და საბოლოო ჯამში, ჭრიკიშვილი ვერცხლის მედალს დასჯერდა.

დღეს ტატამზე ვარლამ ლიპარტელიანი გამოვა და იმედია საქართველოს ნაკრების ყულაბა კიდევ ერთი მედლით შეივსება.

1 აშშ დოლარი	1.6643⇓
1 ევრო	2.2110⇓
1 ინგლისური გირვანქა	2.5933⇓
1 თურქული ლირა	0.8622⇓
100 რუსული რუბლი	5.0433⇓

თბილისი	31°C - 20°C
ქუთაისი	33°C - 20°C
ზუგდიდი	32°C - 21°C
ბათუმი	27°C - 21°C

ნავთობი	3.19	+0.00	+0.16%
გაზი	3.58	+0.11	+3.07%
ოქრო	1,743.20	-9.80	-0.56%
ხორბალი	868.50	+12.25	+1.41%

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge
ჩვენი პარტნიორები:

თიბისი ბანკი TBC BANK
ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს
FM 102.4
ბანკი კონსტანტა BANK CONSTANTA

ISSN 1987 9121
9 771987 912100 >

ვენეციური გრავიტაცია

კინოფესტივალი ალფონსო კუარონის ფილმით გახსნეს

ია ვეკუა

ვენეციის კინოფესტივალი, რომლის დაარსებაც მუსოლინის სახელს უკავშირდება და რომელიც მსოფლიოს პირველი ამ ტიპის ფესტივალია, ორიოდე დღის წინ 70-ედ გაიხსნა. ფესტივალი წელს იუბილარია, შესაბამისად - განსაკუთრებულია, რაც არა მხოლოდ მის პროგრამაზე აისახება, არამედ ჟიურის თავმჯდომარეც საგულდაგულოდაა შერჩეული. ეს ბერნარდო ბერტოლუჩი გახლავთ. ჟიურის სწორედ მისი ხელმძღვანელობით მოუწევს მუშაობა და 20 ფილმიდან საუკეთესოს შერჩევა. ამ ფილმებს შორის არაა «გრავიტაცია» - ალფონსო კუარონის ფანტასტიკური დრამა, რომელიც მაყურებელმა ვენეციის კინოფესტივალის საზეიმო გახსნის შემდეგ იხილა.

გაგრძელება
მე-5 გვერდზე

ერთი წელი ლაფანყურის სპეცოპერაციიდან

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

ლაფანყურის სპეცოპერაციის საქმის გამოძიება ჯერ არ დასრულებულა, თუმცა რამდენიმე ვერსია უკვე არსებობს. ოფიციალური ვერსიით, ერთი წლის წინათ დაღესტნიდან გადმოსული მებრძოლების განეიტრალება და მძევალთა გათავისუფლება მოხდა. სოფელ დუისის მაცხოვრებლები კი ამბობენ, რომ ჯგუფის საქართველოს გავლით ჩეჩნეთში გადაყვანაზე შინაგან საქმეთა სამინისტრო ზრუნავდა.

შინაგან საქმეთა სამინისტრო გამოძიების პროცესის დასრულებამდე დამატებით განცხადების გაკეთებას არ აპირებს.

სახალხო დამცველი უჩა ნანუაშვილი ლაფანყურის სპეცოპერაციის საქმეზე სპეციალური საზოგადოებრივი საგამოძიებო კომისიის შექმნის ინიციატივით გამოდის.

ნანუაშვილმა აღნიშნული კომისიის ვალდებულებები განმარტა და აღნიშნა, რომ კომისია სპეცოპერაციის შესახებ ყველა ინფორმაციის შეგროვებას თავის თავზე აიღებს.

„სამწუხაროდ, ერთი წლის განმავლობაში გამოძიება, ფაქტობრივად, არ ჩატარებულა, რის გამოც დღემდე უცნობია, რა მოხდა სინადვილეში. შეიძლება, პირდაპირ ითქვას, რომ გამოძიება გაჭიანურებულია. კითხვები, რომლებიც ერთი წლის წინ დაისვა, კვლავ ძალაშია. მეტიც, რაც დრო გადის კიდევ უფრო მეტი კითხვა ჩნდება. სამწუხაროდ, ხელისუფლებამ ვერ შეძლო, ამ კითხვებზე პასუხი გაეცა. ძალიან ცუდია, რომ ხელისუფლების შეცვლის მიუხედავად, გამოძიება ბოლომდე არ მისულა და სიმართლე დაუდგენელია. მიგვაჩნია, რომ სიმართლე უნდა დადგინდეს. სწორედ ამ მიზნით ჩვენ ვიწყებთ სპეციალური საზოგადოებრივი საგამოძიებო კომისიის შექმნისთვის მზადებას. ამის გამო დღეს პანკისის ხეობაშიც ვაპირებ ჩასვლას, სადაც უხუცესთა საბჭოს წარმომადგენლებს შევხვდები,“ - განაცხადა სახალხო დამცველმა.

ნანუაშვილის განმარტებით, მას სურს, ამ კომისიაში ქისტური თემის წარმომადგენლებიც იყვნენ და ამ მიზნით უხუცესთა საბჭოს წარმომადგენლებ შეხვდება. ომბუდსმენის ინფორმაციით, სწორედ ამის შემდეგ გადაწყდება კომისიის ზუსტი შემადგენლობა.

ნანუაშვილის ინიციატივას თავდაცვისა და უსაფრთხოების საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი სესიაშვილი ეხმაურება. სესიაშვილი მიიჩნევს, რომ სახალხო დამცველის მიერ ინიცირებულ საზოგადოებრივ-საგამოძიებო კომისიას სიმართლის დადგენა გაუჭირდება.

„ვიზიარებ ბატონი უჩა ნანუაშვილის მოთხოვნას იმ ნაწილში, რომ ლაფანყურის სპეცოპერაცია დროულად იქნეს გამოძიებული, თუმცა პირადად მე საზოგადოებრივ-საგამოძიებო სახის კომისიას არ ვიცნობ. თუ ბატონი უჩა მიიჩნევს, რომ ასეთი ფორმით შექმნილი საგამოძიებო ჯგუფი შესაბამისი გამოძიების წარმართვას და ობიექტური სინამდვილის დადგენას შეძლებს, აღნიშნულს მივესალმები, მაგრამ ეჭვი მეპარება. მე მას უფრო ჟურნალისტურ გამოძიებასთან გავაიგივებდი, ვიდრე იმასთან, რომ სამართლებრივად რაიმე ძალა ჰქონდეს,“ - განაცხადა ირაკლი სესიაშვილმა „ინტერპრესნიუსთან“ საუბრისას.

სესიაშვილს გამოძიების გაჭიანურების მიზეზებზე საუბარი უჭირს, რადგან საგამოძიებო პროცესში ჩარევის უფლება არავის აქვს, თუმცა იცის, რომ „საქმე საკმაოდ რთულია“.

„გამიჭირდება კონკრეტულად იმაზე საუბარი, თუ რატომ ჭიანურდება გამოძიება, რადგან საგამოძიებო პროცესში ჩარევის უფლება არავის აქვს. შესაბამისად, მე, როგორც პარლამენტის წევრს, არ მაქვს ინფორმაცია, რატომ ვერ ხერხდება საბოლოო დასკვნის დადება, თუმცა ვიცი, რომ საქმე საკმაოდ რთულია და არსებობს მთელი რიგი დეტალები, რომლებსაც დრო და ენერგიული მუშაობა სჭირდება,“ - აღნიშნა სესიაშვილმა.

სახალხო დამცველმა კი თავისი ინიციატივა სპეცოპერაციისას დაღუპული სპეცრაზმელის არჩილ ჩოხელის ოჯახს გააცნო, რომელიც მცხეთის რაიონის სოფელ გალავანში მოინახულა.

არჩილ ჩოხელის ოჯახი გამოძიების მიმდინარეობით უკმაყოფილოა და ხელისუფლებას სიმართლის დადგენას კიდევ ერთხელ სთხოვს.

როგორც არჩილ ჩოხელის დედა „ინტერპრესნიუსთან“ საუბარში ამბობს, მისთვის დღემდე არაფერია ცნობილი, რა მოხდა ერთი წლის წინათ, რატომ და ვინ მოკლა მისი შვილი. მისთვის ასევე უცნობია, თუ რა ეტაპზეა გამოძიება და გამოიკვეთა თუ არა ახალი დეტალები.

„განცხადება შევიტანეთ, მაგრამ გამოძიება ისე არ მიმდინარეობს, როგორც საჭიროა. როგორ შეიძლება, გამოძიებით კმაყოფილი ვიყო, როცა ერთი წელი გავიდა და არაფერი ვიცით. გვაინტერესებს, რა მოხდა, რატომ მოკლეს ჩემი შვილი, რატომ ჩაატარეს ეს სპეცოპერაცია, ვის გვერდით დაიღუპა. იმასაც ამბობენ, რომ სნაიპერმა მოკლაო და რომ გაიგო ჩოხელი მოკლა, თავიც მოიკლაო. რამდენად მართალია, ესეც არ ვიცით. საქმეს ნორმალურად არ იძიებენ. მინდა, სიმართლე გავიგო და ამას ვთხოვ ხელისუფლებას. ყველაზე ცუდი გაურკვევლობაში ყოფნაა,“ - აცხადებს დაღუპული სპეცრაზმელის დედა.

ამასთან, იზა ბუჯიაშვილი იხსენებს, რომ ვიდრე სპეცოპერაცია განხორციელდებოდა, მისი შვილი ერთი თვით ადრე პრეზიდენტმა დაიბარა.

„სანამ ეს ამბავი მოხდებოდა, ერთი თვით ადრე სააკაშვილმა დაიბარა ჩემი შვილი, კარგად შეათვალიერა, დაასაჩუქრა კიდეც, ერთი თვის შემდეგ კი სიკვდილი გამოუწერა. მაშინდელი უფროსების ბრალია ყველაფერი. ახალაიამ არაფერი იცოდა, არ იცოდა, როგორც უნდა წაეყვანა რაზმი და ყველაფერი თავის თავხედობით მოუვიდა,“ - ამბობს გარდაცვლილის დედა.

იზა ბუჯიაშვილის თქმით, მისი ქალიშვილი ბოლოს გამომძიებელთან სამი თვის წინ იმყოფებოდა, რომელმაც უთხრა, რომ თანამშრომლები დაკითხეს, თუმცა ყველამ ერთნაირი ჩვენება მისცა.

„ნანუაშვილის მადლობლები ვართ. მან დააყენა დღის წესრიგში ეს საკითხი, თორემ არც ჩვენს განცხადებას მიაქცევდნენ ყურადღებას,“ - აღნიშნა იზა ბუჯიაშვილმა.

რაც შეეხება ლაფანყურის სპეცოპარაციის დროს ლიკვიდირებული ქისტების ოჯახებს, მათ ცხედრების განმეორებითი ექსპერტიზისა და გამოძიების ახალი დეტალების შესახებ არაფერი იციან.

როგორც ერთ-ერთი მოკლულის ასლან მარგოშვილის მამიდა თამარ მარგოშვილი ამბობს, გარდაცვლილი ქისტების ოჯახის წევრებმა, რელიგიის მიუხედავად, გამოძიებას საშუალება მისცეს, სიმართლის გასარკვევად განმეორებითი ექსპერტიზისთვის ცხედრები საფლავიდან ამოეღოთ, თუმცა მათ არც ექსპერტიზის პასუხები იციან და არც გამოძიების შედეგები.

„ჩვენი რელიგიის წეინააღმდეგ წავედით. გამონაკლისი დავუშვით და სიმართლის დასადგენად ცხედრების ექსპერტიზას დავთანხმდით. დაგვპირდნენ, ყველაფერი მალე გაირკვევა და სიმართლე დადგინდებაო. დაპირებებს საზღვარი არა აქვს. ხან ერთ კვრიაში გეცოდინებათო, ხან 10 დღეშიო. დრო კი გადის და არაფერს გვაგებინებენ. ხომ უნდა გაირკვეს, დამნაშავეები ვინ არიან და დაისაჯონ?“ - ამბობს თამარ მარგოშვილი.

მისივე ინფორმაციით, ლაფანყურის ტყეში მოკლული ქისტების ოჯახების წევრები სოფელ დუისის სასაფლაოზე შეიკრიბებიან.

„გვეგონა, რომ 31 აგვისტოს ჩაცხრილეს ჩვენი ბიჭები, მაგრამ მერე გავიგეთ, რომ 28 აგვისტოს ღამით მოუკლავთ. სოფლის მოსახლეობა დღეს საფლავებთან შევიკრიბებით. რა უნდოდათ ჩემი ძმისშვილისგან, არ ვიცი. ასლან მარგოშვილი პოლიტექნიკური უნივერსიტეტის წარჩინებული სტუდენტი იყო, უცხოეთში ცხოვრობდა და ალბათ იქ გაიცნო ჩეჩნები. ჩვენ, ქისტები, საქართველოს შვილები ვართ და ისევე გვიყვარს ეს ქყვეყანა, როგოც ქართველებს,“ - აღნიშნავს თამარ მარგოშვილმა.

თამარ მარგოშვილი ამბობს, რომ სოფელ დუისის მოსახლეობას და ქისტებს ახალი ხელისუფლების იმედი აქვთ, თუმცა ამასთან უკვირს, **„რატომ არ რეაგირებს ხელისუფლება იმ ვაჰაბიტების მიმართ, რომლებიც პანკისის ხეობაში იმყოფებიან.“**

„ამ მთავრობისაც მიკვირს. კიდევ არიან ამ ხეობაში ვაჰაბიტები, კიდევ ცდილობენ რაღაც პროვოკაციების აგორებას. რატომ არ უწევენ დროულად კონტროლს, რატომ ვერ ალაგმეს თავის დროზე, არ ვიცი,“ - აცხადებს მარგოშვილი.

სპეცოპერაციის დროს მოკლული ბაჰაუდინ ალდამოვის მამა კი დარწმუნებულია, რომ პანკისის ხეობაში მისი შვილი თანმხლებ პირებს არ მოუკლავთ. ალდამოვი გამოძიების მიმდინარეობით უკმაყოფილოა.

მისი ინფორმაციით, ადგილობრივები, რომლებიც ზუსტად ერთი წლის დაიღუპნენ, სხვა იარაღითა და ტყვიით არიან მოკლულები და ისინი ერთმანეთს არ დახოცავდნენ. მისი თქმით, რა ეტაპზეა გამოძიება, მისთვის უცნობია, რადგან ამ დრომდე დაღუპულის ოჯახს გამოძიების მიმდინარეობის შესახებ არავინ არაფერს ეუბნება.

ამასთან, ასევე უცნობია ცხედრების ექსჰუმაციის შემდეგ ჩატარებული ექსპერტიზის პასუხები. მისი თქმით, ეს საქმე არ უნდა იყოს ძნელი გამოსაძიებელი, თუმცა რატომ ჭიანურდება გამოძიება და სიმართლის დადგენა, მისთვის უცნობია. ამასთან, როგორც ალდამოვი აცხადებს, ის იმ პირებს ესაუბრა, რომლებიც თითქოს პანკისის ხეობაში მძევლებად ჰყავდათ აყვანილი.

ალდამოვის თქმით, პირები, რომლებმაც ამის შესახებ ჩვენება მისცეს, უბრალოდ, დააშინეს და რაც თავად უნდოდათ, ის ალაპარაკეს. ალდამოვი ამბობს, რომ 21-ე საუკუნეში შურისძიებას არავინ გეგმავს. უბრალოდ, მიაჩნია, რომ დამნაშავეები უნდა დაისაჯონ.

შსს-ს ანტიტერორისტული სამსახურის ყოფილი უფროსი სანდრო ამირიძე აცხადებს, რომ გავრცელებული ვერსია, თითქოს იგი ტერორისტების წვრთნასა და მომზადებაში მონაწილეობდა, სრული აბსურდია.

„მე რეალურად ვმონაწილეობდი მოლაპარაკებაში, ეს იყო 28 აგვისტოს. რაც შეეხება გავრცელებულ ვერსიას, თითქოს ვმონაწილეობდი ტერორისტების წვრთნაში, მომზადებაში, ეს სრული აბსურდია. დანარჩენი კომენტარის გაკეთებისგან ამ ეტაპზე თავს შევიკავებ. ძიება მიმდინარეობს და საბოლოო პასუხს ის იტყვის,“ - აცხადებს ამირიძე.

„სამართლიანი არჩევნების„ ანგარიში და მედიის როლი არჩევნებში

29 აგვისტოს „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებამ“ (ISFED) საპრეზიდენტო არჩევნების წინასაარჩევნო გარემოს მონიტორინგის მესამე შუალედური ანგარიში წარმოადგინა. ანგარიში 5 აგვისტოდან 20 აგვისტომდე პერიოდს მოიცავს. მასში ნათქვამია, რომ წინასაარჩევნო დარღვევები, ძირითადად, ერთეული შემთხვევებით შემოიფარგლება და მასობრივ ხასიათს არ ატარებს.

„საანგარიშო პერიოდი მშვიდ გარემოში წარიმართა და განსხვავებით წინა პერიოდისგან, ძალადობრივ ქმედებებს ადგილი არ ჰქონია. გამოვლენილ ტენდენციების შორის განსაკუთრებით პრობლემატურად უნდა შეფასდეს მედიაგარემოსთან დაკავშირებული რიგი საკითხები. რეგიონულმა გაზეთმა, „გურიის მოამბემ“ მუნიციპალიტეტის გამგებელს ბრალი ზეწოლაში დასდო, ხოლო ტელეკომპანია „მაესტროს“ ერთ-ერთმა მფლობელმა მამუკა ღლონტმა ხელისუფლების გარკვეული ჯგუფის მხრიდან პოლიტიკური ხასიათის ანგარიშსწორებაზე დაიწყო საუბარი. პრემიერ-მინისტრმა საზოგადოებისთვის მოულოდნელად მიიღო გადაწყვეტილება მისი ოჯახის კუთვნილი ტელეკომპანია „მე-9 არხისა“ და საინფორმაციო სააგენტო „ინფო-9“-ის დახურვის შესახებ, - ნათქვამია ანგარიშში.

ორგანიზაციაში მიიჩნევენ, რომ „მე-9 არხისა“ და საინფორმაციო სააგენტო „ინფო-9“-ის დახურვის შესახებ ბიძინა ივანიშვილის გადაწყვეტილება, ერთი მხრივ, მისასალმებელია, თუმცა, მეორე მხრივ, უარყოფითი მხარეებიც იკვეთება.

„პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილებამ მისი ოჯახის კუთვნილი ტელეკომპანია „მე-9 არხისა“ და საინფორმაციო სააგენტო „ინფო-9“-ის დახურვის შესახებ, არაერთგვაროვანი შეფასებები გამოიწვია. ორგანიზაცია მიიჩნევს, რომ პრემიერ-მინისტრის აღნიშნული გადაწყვეტილება, ერთი მხრივ, მისასალმებელია, ვინაიდან პრემიერ-მინისტრმა საკუთარი ნებით განაცხადა უარი შესაძლებლობაზე, წინასაარჩევნოდ მედიარესურსი მმართველი კოალიციის კანდიდატის სასარგებლოდ გამოეყენებინა. მეორე მხრივ, წინასაარჩევნო პერიოდში იმ სატელევიზიო არხის დახურვა, სადაც თოქ-შოუებსა და საინფორმაციო გადაცემებში პოლიტიკური ხასიათის დისკუსიები სისტემატურად იმართებოდა, წინასაარჩევნო პერიოდში ამომრჩეველთა ინფორმირებისა და პოლიტიკური დისკუსიების მრავალფეროვნების თვალსაზრისით ნეგატიური მოვლენაა,“ - ნათქვამია ანგარიშში.

რაც შეეხება ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებას და ამომრჩევლის მოსყიდვას, ამ კუთხით „სამართლიანი არჩევნების“ მიერ მომზადებულ ანგარიშში მოხვდა ფართომასშტაბიანი შეწყალების განხორციელების შესახებ პრეზიდენტის ინიციატივა და ახლად დაქორწინებული წყვილისთვის პრემიერ-მინისტრის მიერ ბრილიანტის ბეჭდის ჩუქების ფაქტი.

ორგანიზაციაში მიიჩნევენ, რომ ფართომასშტაბიანი შეწყალების შესახებ პრეზიდენტის გადაწყვეტილება ამომრჩევლის გულის მოგებას ისახავს მიზნად, ისევე როგორც ამომრჩევლის მოსყიდვის ნიშნებს შეიცავს პრემიერ-მინისტრის მიერ ახლად დაქორწინებული წყვილისთვის ბრილიანტის ბეჭდის ჩუქება.

„2013 წლის 19 აგვისტოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, საქართველოს პრეზიდენტი ფართომასშტაბიანი შეწყალების განხორციელებას გეგმავს. წინასაარჩევნო პერიოდში პრეზიდენტის მიერ მის ხელთ არსებული მსგავსი სამართლებრივი შესაძლებლობის გამოყენება ქმნის განცდას, რომ ეს ქმედება მიზნად ისახავს ამომრჩევლის გულის მოგებას და წარმოადგენს ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებას საარჩევნო მიზნით. გარდა ამისა, პრემიერ-მინისტრმა შუამთობის დღესასწაული მიულოცა ადგილობრივ მოსახლეობას. დღესასწაულის აღნიშვნის დროს ახლად დაქორწინებულ გუნდალაძეების ოჯახს საჩუქრად ბრილიანტის ბეჭედი გადასცა - აღნიშნული ინციდენტი შეიცავს ამომრჩეველთა მოსყიდვის ნიშნებს. ორგანიზაციამ მიმართა სახელმწიფო აუდიტის სამსახურს და საქართველოს პროკურატურას, შეისწავლოს აღნიშნული ფაქტი და მისცეს მას სათანადო შეფასება,“ - ნათქვამია ანგარიშში.

გარდა ამისა, ანგარიშში საუბარია ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან გაზეთ „გურიის მოამბის“ ორი ოფისის მიმართ უზურფრუქტის ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ. „სამართლიანი არჩევნების“ შეხედულებით, საკრებულოს გაფრთხილებიდან ნათლად არ ჩანს, თუ რა „განსაკუთრებულ სახელმწიფოებრივ საჭიროებასთან“ გვაქვს საქმე, რაც ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის საფუძველია. ორგანიზაციაში მიიჩნევენ, რომ რადგან საქმე წინასაარჩევნო პერიოდში ხელისუფლების მიმართ კრიტიკულად განწყობილი მედიასაშუალების საქმიანობის შეზღუდვას ეხება, მნიშვნელოვანია, საკრებულომ წარმოადგინოს დამაჯერებელი დასაბუთება იმისა, თუ რა განსაკუთრებული სახელმწიფო ან საზოგადოებრივი საჭიროებიდან გამომდინარე შეუწყვიტა „გურიის მოამბეს“ უზურფუქტის ხელშეკრულება.

ამასთან, „სამართლიანი არჩევნები“ ყურადღებას ამახვილებს ტელეკომპანია „მაესტროს“ ერთ-ერთი მფლობელის მამუკა ღლონტის განცხადებაზე, რომელმაც ხელისუფლების „ერთი ფრთის“ მხრიდან პოლიტიკური ხასიათის ანგარიშსწორებაზე ისაუბრა. მამუკა ღლონტმა სატელევიზიო ინტერვიუში აღნიშნა, რომ „განსაკუთრებით ეს ხდება მას შემდეგ, რაც ეს ნაწილი მიხვდა, რომ **„მაესტრო“ არ დაემორჩილება არანაირ მოთხოვნებს ხელისუფლებიდან და იქნება დამოუკიდებელი მოთამაშე, ისევე როგორც იყო ადრეც.“**

„სამართლიანი არჩევნები“, სამართლიანი და თანასწორი საარჩევნო გარემოს უზრუნველსაყოფად, ხელისუფლებას რეკომენდაციით მიმართავს და მოუწოდებს, მაქსიმალურად შეუწყოს ხელი წინასაარჩევნო პერიოდში მედიასაშუალებების თავისუფალ და დაუბრკოლებელ საქმიანობას.

გარდა ამისა, 29 აგვისტოს ევროსაბჭოს ორგანიზებით გაიმართა კონფერენცია თემაზე - „თავისუფალი და სამართლიანი მედიის როლი 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნების დროს“. კონფერენციას ევროსაბჭოს წარმომადგენლები, ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის წევრები, მედიაექსპერტები და ცესკო-ს წარმომადგენლები დაესწრნენ.

ევროსაბჭოს წარმომადგენელ ფრანსუა ფიედერიხის თქმით, კონფერენცია ძალიან მნიშვნელოვანია.

„წინასაარჩევნო პერიოდში მედიას აუცილებლად უნდა ჰქონდეს საშუალება, იმუშაოს სრულყოფილად. კონფერენციაზე მედიის წარმომადგენლებს ჩვენი საერთაშორისო გამოცდილება გავუზიარეთ, - აღნიშნა ფრანსუა ფიედერიხმა.

ცესკოს პრეს-სპიკერ ეკა აზარაშვილის განცხადებით, ნებისმიერ არჩევნებში მედიის როლი ძალიან მნიშვნელოვანია.

„დღევანდელ კონფერენციაზე დეტალურად ვისაუბრეთ და გავცვალეთ ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ უნდა იმუშაოს მედიამ 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში და როგორ უნდა გააშუქოს იგი,“ - განაცხადა ეკა აზარაშვილმა.

ჟურნალიტური ეთიკის ქარტიის წარმომადგენლის, ჟურნალისტ ზვიად ქორიძის აზრით, თუ სიტყვის თავისუფლების მაღალ სტანდარტს კანონმდებლობა შეუწყობს ხელს, ეს წინგადადგმული ნაბიჯი იქნება.

თუ მოვახერხებთ იმას, რომ ქვეყანაში კანონმდებლობა მაქსიმალურად შეუწყობს ხელს სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების მაღალ სტანდარტებს, მაშინ, შეიძლება ითქვას, ეს იქნება კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯი,“ - აცხადებს ზვიად ქორიძე.

ჟურნალიტური ეთიკის ქარტიის აღმასრულებელი დირექტორი თამარ რუხაძე მიიჩნევს, რომ ქვეყანაში თავისუფალი არჩევნების ჩასატარებლად აუცილებელია, წინასაარჩევნო პერიოდიც თავისუფალი იყოს.

„თუ ჩვენ გვინდა, რომ არჩევნები ამ ქვეყანაში იყოს თავისუფალი, თავისთავად წინასაარჩევნო გარემოს გაშუქება უნდა იყოს თავისუფალი, ობიექტური და მიუკერძოებელი. ვფიქრობ, ჩვენი მედიისთვის მთავარი გამოწვევაა სწორედ ის, რომ შევძლოთ, არჩევნები გავაშუქოთ ისე, როგორც ამას საერთაშორისო სტანდარტი თუ საქართველოს კანონმდებლობა მოითხოვს,“ - აღნიშნა თამარ რუხაძემ.

საკუთარი ინფორმაცია

გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "შვპ". რედაქტორ-გამომცემლები:
მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
რედაქცია: სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ივა შილაკაძე (უცხოეთი)
სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** *ირაკლი ღეჟავა* ტელ: 899 22 09 49. კომპიუტერული ცენტრი: ირმა ჯიშკარიანი, ნინო ყაველაშვილი
რედაქციის მისამართი: ქ. თილისი, ვაჟა-ფშაველას 45, 14-ე სართული. ტელ: 40-94-45; 40-94-46; 40-94-47; 40-94-48 ელ-ფოსტა: public@24hours.ge

ჭელას მინარეთი დასაწყობდება და დაილუქება

პირველი გვერდიდან



„ვთხოვთ ხელისუფლებას, დაიწყოს მუშაობა, რათა კანონით განისაზღვროს რელიგიური ნაგებობების მიზანშეწონილობა და მშენებლობის ნებართვის გაცემის საკითხი, რათა თავიდან იქნეს აცილებული რელიგიურ ნიადაგზე შფოთი და დაპირისპირება,“ - განაცხადა დეკანოზმა და აღნიშნა, რომ საპატრიარქო მინარეთის აღდგენის მიმართ მართლმადიდებელი მრევლის სამართლიან პროტესტს ეთანხმება. ამასთან, მისივე თქმით, საპატრიარქომ მუსლიმი მოსახლეობის განწყობა გაითვალისწინა და მუსლიმთა სამმართველოსთან შეთანხმებით ერთობლივ განცხადებაზე შეჯერდნენ. მართლმადიდებლური ორგანიზაცია ქრისტიან მრევლს და მუსლიმ თემს მიმართავს, გამოსვლებისგან თავი შეიკავონ და სიმშვიდე და პატივისცემა შეინარჩუნონ.

საპატრიარქოს განცხადებამდე კი ცნობილი იყო, რომ ადიგენის რაიონის სოფელ ჭელას მინარეთს, რომელიც თბილისში ექსპერტიზისთვის გადაიტანეს, გუშინ, საღამოს, ისევ სოფელში დააბრუნებდნენ. ხულოს მუფთის ასლან აბაშიძის თქმით, საქართველოს მთავრობის აღნიშნული გადაწყვეტილების შესახებ ბათუმის მეჩეთში შეკრებილებს აჭარის მთავრობის თავმჯდომარე არჩილ ხაბაძემ 28 აგვისტოს, გვიან საღამოს, აცნობა. ასლან აბაშიძის თქმით, სანამ მინარეთს ჭელაში არ დააბრუნებენ, ბათუმში მყოფი ჭელას მოსახლეობა სოფელში არ დაბრუნდება. ხოლო სრულიად საქართველოს მუსლიმთა სამმართველოს მუფთის ჯემალ პაქსაძის ინფორმაციით, გუშინ მინარეთს ჭელის მეჩეთთან მიიტანდნენ, თუმცა მას ტექნიკური და იურიდიული პროცედურების მოგვარების შემდეგ დაამონტაჟებდნენ. ჯემალ პაქსაძის განცხადებით, მინარეთის საკითხის მოგვარებაში საქართველოს პრემიერ-მინისტრიც მონაწილეობს, რისთვისაც მუფთი ბიძინა ივანიშვილს მადლობა უხდის.

მას შემდეგ, რაც გავრცელდა ინფორმაცია, რომ მინარეთს ჭელაში აბრუნებდნენ, ახალციხის სამხარეო პოლიციის შენობასთან ადგილობრივი მოსახლეობა შეიკრიბა და საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილება გააპროტესტა. ახალციხის პოლიციასთან შეკრებილები აცხადებდნენ, რომ საქართველოში ყველა რელიგიური უმცირესობის ინტერესები უფრო მეტად არის დაცული, ვიდრე მართლმადიდებლების. აქციის ერთ-ერთი მონაწილის გოდერძი კუბლაშვილის თქმით, თუ ხელისუფლება მინარეთის დაბრუნების შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებას არ შეცვლის, მთელი მესხეთ-ჯავახეთი ფეხზე დადგება, ახალციხე-ადიგენის საავტომობილო მაგისტრალი გადაიკეტება და მინარეთს ჭელას მიმართულებით არ გაატარებენ. პოლიციის სამმართველოსთან შეკრებილი აქციის მონაწილეები მოგვიანებით ქალაქის შესასვლელისკენ გაემართნენ და გზა გადაკეტეს.

„შემოგვიერთდით ყველა, ვისაც არ გინდათ, მინარეთი სახლთან დაგიდგან,“ - აცხადებდნენ აქციის მონაწილეები. მათ ახალციხის ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებიც შეუერთდნენ.

„მე ვარ იქ, სადაც არის ჩემი ხალხი. მე მართლმადიდებელი ვარ,“ - აცხადებს ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ოლეგ სანდროშვილი.

აქციაზე სასულიერო პირებიც იმყოფებოდნენ და ამას სიმშვიდის შენარჩუნების მიზნით ხსნიდნენ.

„აქ იმიტომ ვართ, რომ დაძაბულობა არ მოხდეს და სიმშვიდე იყოს. ჩვენ ვუერთდებით მთელი საქართველოს მოთხოვნას,“ - აღნიშნავდნენ ისინი.

რაც შეეხება მუსლიმებს, ისინი იმ პოლიციელთა წინააღმდეგ, რომლებიც სოფელ ჭელაში მომხდარ ინციდენტში მონაწილეობდნენ, საჩივრის შეტანას აპირებენ. ჭელას იმამის მოადგილის დავით ჩოგაძის თქმით, საჩივარი საქართველოს მთავარი პროკურორის არჩილ კბილაშვილის სახელზე შევა:

„არის დანაშაული სახელმწიფო ორგანოების და პიროვნებების მხრიდან ხალხზე ზედმეტი ძალის გამოყენებისთვის და მასხრად აგდებისთვის. სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით, მასხრად აიგდეს 100-200 ადამიანი ერთად. ცემის გარდა, იყო სხვა შეურაცხყოფებიც, რაც ადამიანის მოთმინების ფარგლებში არ შედის. სიტყვებით როგორ გითხრათ, პირდაპირ გვაჩვენა პოლიციამ - აი, აჭარლები ამას მიიღებთო. ამას რომ გააკეთებს სახელმწიფოს სადარაჯოზე მდგარი ადამიანი, ის, ვფიქრობ, ამ თანამდებობაზე არ უნდა იყოს,“ - განაცხადა დავით ჩოგაძემ.

სოფელ ჭელაში განვითარებულ მოვლენებს გუშინ სახალხო დამცველი უჩა ნანუაშვილი გამოეხმაურა. მისი შეფასებით, მინარეთის დემონტაჟი არასწორი ფორმით განხორციელდა, რითიც საქართველოს მოსახლეობის მუსლიმ თემს შეურაცხყოფა მიადგა.

„აღნიშნულის შესახებ სახალხო დამცველის აპარატის დეტალური დასკვნა რამდენიმე დღეში იქნება, მაგრამ მანამდე შემიძლია ვთქვა, რომ რელიგიური სიწმინდის ხელყოფა ამ ფორმით არ უნდა მომხდარიყო. მიუხედავად იმისა, რომ სამართლებრივი არგუმენტები არსებობდა, იყო გარკვეული მტკიცებულებები და შეიძლება ითქვას, რომ გამოძიებას და საბაჟო სამსახურს აღნიშნულის უფლება იურიდიულად ჰქონდა, სამწუხაროდ, ასეთი ფაქიზი თემისადმი განსხვავებული დამოკიდებულება უნდა ყოფილიყო, რაც ხელისუფლებას არ გაუთვალისწინებია. მათ ვერ გაითვალისწინეს, რომ რელიგიური სიწმინდის ასეთ უხეშ ხელყოფას ასეთი პროტესტი მოჰყვებოდა. მოსახლეობის გარკვეული ნაწილის რეაქცია ბუნებრივი იყო, რადგან ამით საქართველოს მოსახლეობის მუსლიმი თემის შეურაცხყოფა მოხდა,“ - განაცხადა სახალხო დამცველმა.

რვა არასამთავრობო ორგანიზაციის შეფასებით კი, 26 აგვისტოს, ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭელაში ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის მიერ მეჩეთის მინარეთის მოშლითა და ძალოვნების მიერ მუსლიმი მოსახლეობის ფიზიკური შეურაცხყოფით უხეშად დაირღვა მუსლიმთა უფლებები. ორგანიზაციები განსაკუთრებით შემაშფოთებელს უწოდებენ ჭელას მინარეთის მოშლის შესახებ იუსტიციის მინისტრ თეა წულუკიანის პოზიციას, რომელმაც განაცხადა, რომ მუსლიმებს მინარეთების გარეშეც შეუძლიათ ილოცონ, ხოლო მათი მშენებლობის უფლება, შესაძლოა, კითხვის ნიშნის ქვეშ დადგეს. არასამთავრობოთა თქმით, ასევე შეშფოთებას იწვევს რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის მიერ გაკეთებული განცხადებები, რომლებშიც აქცენტი კეთდება პრობლემის რეალური არსის მიჩქმალვაზე და მის გადატანაზე პოლიტიკურ ძალთა შორის დაპირისპირების ჭრილში.

„შეიძლება ითქვას, რომ მუსლიმთა რელიგიის თავისუფლების უკანონო შეზღუდვისა და დისკრიმინაციის გახშირებული ფაქტებიდან, ჭელაში მომხდარი ინციდენტი რელიგიური ნიშნით დისკრიმინაციის ყველაზე მწვავე შემთხვევად იქცა. ჩატარებული ღონისძიების მიზეზების შესახებ ხელისუფლების მიერ გავრცელებული ოფიციალური ვერსია ვერანაირ სამართლებრივ კრიტიკას ვერ უძლებს და ყოველგვარ ლოგიკურ ჩარჩოებს მიღმაა. ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციის ანალიზი ცხადყოფს, რომ მუსლიმების მიერ მინარეთის განბაჟებისას სახელმწიფოს არანაირი ფინანსური ზარალი არ განუცდია, თუმცა ასეთი ზარალის არსებობის შემთხვევაშიც, სახელმწიფო ორგანოებს მინარეთის დემონტაჟის უფლებამოსილება არ გააჩნდათ. მიგვაჩნია, რომ 2013 წლის 26 აგვისტოს საბაჟო სამსახურის მიერ განხორციელებული ღონისძიებისას მოხელეთა ქმედებებში იკვეთება დანაშაულის ნიშნები, რაც აუცილებლად უნდა გახდეს საქართველოს მთავარი პროკურატურის ძიების საგანი. შესაბამისად, მოვუწოდებთ მთავარ პროკურორს, დაიწყოს ხსენებული ფაქტის გამოძიება და პასუხისგებაში მიეცნენ ის მოხელეები და თანამდებობის პირები, რომელთა უკანონო მოქმედებებმაც უხეშად ხელყვეს სოფელ ჭელას მოსახლეობის კონსტიტუციით გარანტირებული უფლებები,“ - ნათქვამია განცხადებაში, რომელსაც ხელს აწერენ: «საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა»; ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი; ეთნოსთაშორის თანამშრომლობისა და კონსულტაციების ანალიტიკური ცენტრი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, ადამიანის უფლებათა სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი, მედიის განვითარების ფონდი, ფონდი ALPE და «მრავალეროვანი საქართველო».

რვა არასამთავრობო ორგანიზაციამ სამართლებრივად მიმოიხილა მოვლენები და დასკვნის სახით განაცხადა, რომ შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის მიერ განხორციელებული ღონისძიება ატარებდა უკანონო ხასიათს, იყო დაუსაბუთებელი და დაარღვია როგორც დავით ჩოგაძის საკუთრების უფლება, ასევე ხელყო მუსლიმი მოსახლეობის რწმენის თავისუფლება.

„მიუხედავად იმისა, რომ მინარეთის განბაჟების პროცესში სახელმწიფოს არანაირი ფინანსური დანაკლისი არ განუცდია, ჩატარებული ოპერაციის მასშტაბები და მოცულობა, კანონმდებლობით დადგენილი პროცედურებისა და ვადების უგულებელყოფა და სახელმწიფო ორგანოთა მიერ საკუთარი უფლებამოსილების გადამეტება გვიქმნის საფუძვლიან ეჭვს, მივიჩნიოთ, რომ აღნიშნული ღონისძიების მიზანს არ წარმოადგენდა გადასახადის შესაძლო დანაკლისის დადგენა და ბიუჯეტში მიმართვა. ჭელაში მომხდარი ინციდენტი სცილდება შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის უკანონო მოქმედებას და რელიგიური უმცირესობებისადმი მთავრობის დისკრიმინაციული პოლიტიკის უკიდურესად შემაშფოთებელ სიმპტომად გვევლინება,“ - ნათქვამია ერთობლივ განცხადებაში.

აღსანიშნავია, რომ გუშინვე ახალციხის რაიონულმა სასამართლომ ადიგენის გამგებელ სიმონ პარუნაშვილს, რომელიც მინარეთის დემონტაჟის მეორე დღეს დააკავეს, 3000 ლარის ოდენობის გირაო შეუფარდა. მოსამართლემ გიორგი ლონდარიძემ ნაწილობრივ დააკმაყოფილა პროკურორის შუამდგომლობა, რომელიც ბრალდებულისთვის 12 000 ლარის ოდენობის შეფარდებას ითხოვდა. დაცვის მხარემ კი სასამართლო პროცესზე ადიგენის გამგებლის აღკვეთის ღონისძიების გარეშე გათავისუფლებაზე იშუამდგომლა. სასამართლოს გადაწყვეტილებას პარუნაშვილის ადვოკატები უკანონოდ მიიჩნევენ და მის გასაჩივრებას გეგმავენ.

ადიგენის გამგებელი ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისა და სამსახურებრივი გულგრილობის ბრალდებით დააკავა. გამოძიება სიმონ პარუნაშვილს 332-ე და 342-ე მუხლებით ედავება.

„საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წევრობის კანდიდატის შესარჩევი ღია კონკურსის ჩატარების შესახებ„

საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 24 ივლისის N24/07/01 განკარგულებით გამოცხადებულ კონკურსში მონაწილე

პირთა სია

1 ლევან ქარაზანაშვილი
2 სერგო შავგულიძე
3 ნოშრევან ჟღენტი
4 გიორგი ქილიფთარი
5 ქრისტიანა გრიგორიანი
6 ლაშა დვალიშვილი
7 რატი სხირტლაძე
8 გიორგი უთურაშვილი
9 ზურაბ გორგაძე
10 დავით თუთბერიძე
11 გიორგი ჭოლაძე
12 თეიმურაზ ღოღობერიძე
13 სოფიო ხორგუანი
14 არჩილ კუბლაშვილი
15 გიორგი ზურაბაშვილი
16 თამაზ ინაშვილი

„ზოოპარკის დირექტორს ჩემდამი ხალხის კეთილგანწყობა არ მოეწონა“

საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის განცხადებით, საქართველოს მთავრობას ფული თავზესაყრელად აქვს და მისთვის დენის ყიდვა პრობლემა არ არის. ამის შესახებ პრეზიდენტმა ხელვაჩაურში, უკრაინული კომპანიის „Disk M“-ის კუთვნილ საწარმოში სტუმრობისას განაცხადა. კომპანიის გენერალურმა დირექტორმა თენგიზ იაკობაშვილმა მიხეილ სააკაშვილს ადგილზე გააცნო ის პრობლემები, რომლებიც მათ ელექტროენერგიის შეწყვეტის შედეგად შეექმნათ. პრეზიდენტმა ადგილობრივ მთავრობას მოუწოდა, მხარი ამოუდგეს მენარმეებს, რადგან წინა მთავრობის ინიციატივით, ხელვაჩაურში ინდუსტრიული ზონა სწორედ იმ მიზნით შეიქმნა, რომ მსგავსი საწარმოები გახსნილიყო და ადგილობრივი მოსახლეობა დასაქმებულიყო. მიხეილ სააკაშვილის თქმით, მთავრობის უპირველესი საზრუნავი ამ პრობლემის გადაჭრა უნდა იყოს.

„ჩვენ აქ იმიტომ მოვედით, რომ ხელვაჩაურის ინდუსტრიული ზონა არის ერთ-ერთი, რაც ჩვენ შევქმენით. აქ ვგეგმავთ ბევრი სხვა საწარმოს გახსნას და ამის პერსპექტივა არსებობს. უბრალოდ, ბოლო დროს დენის უწყვეტი მომარაგების პრობლემა მართლა არსებობს. მე აქ ვარ რამდენიმე დღეა და სახლში, მაგალითად, დენი რამდენჯერმე გაითიშა და ლიფტი ჩამოვარდა. გუშინწინ კაფეში ვისხედით და ორი საათის განმავლობაში არ იყო დენი, სანთლის შუქზე ძალიან რომანტიკული საღამო გამოვიდა. ჩვენ შეხვედრა გვქონდა და ამ უშუქობამ ცოტა ხელი შეგვიშალა, მაგრამ ჩემს თავს თავი დავანებოთ, ეს ხალხი აქ ცხოვრობს და უფრო სერიოზულ პრობლემებთან გვაქვს საქმე.

საქართველოს მთავრობას ჩვენ დავუტოვეთ, თავზესაყრელად აქვთ ფული. დენის ყიდვის პრობლემა არ აქვთ. რაც დავუტოვეთ, მილიარდები, ეს მილიარდები დევს, ბევრი დახარჯეს, მაგრამ საკმარისია, რომ ერთი წელი მაინც არ ჰქონდეთ დენის ყიდვის პრობლემა. ჩვენ დავტოვეთ ელექტრომომარაგების გამართული სისტემა. ერთადერთი, რაც სჭირდებათ, ის არის, რომ არ იყოს უწესრიგობა და ამ სისტემაში ქაოსის ელემენტების შემოტანა,“ - განაცხადა პრეზიდენტმა და მთავრობას მენარმეების მხარდაჭერისკენ მოუწოდა.

ხელვაჩაურშივე მიხეილ სააკაშვილი პიაცაზე მომხდარ ინციდენტს გამოეხმაურა. „ის კეთილგანწყობა, რაც მე ბოლო დღეებში ბათუმში მხვდება, ერთმა კაცმა, ზოოპარკის დირექტორმა, ტელევიზორში ნახა და ეტყობა, არ მოეწონა. ერთ-ერთი გალიიდან თავისი ჩაცუცქული ელემენტები გამოუშვა. გუშინ მთელი ბრიგადა ჩამოვიდა, გადაუხადეს სასტუმროს ფული, სამივლინებო ხარჯები, სასამართლო ხარჯები - პრეზიდენტის შეურაცხყოფა 100 ლარი ღირს, რუსი დეპუტატისა - 1000 ლარი, რუსი დეპუტატის, რომელიც აფხაზეთის ომში ჩვენ წინააღმდეგ იყო. დინამოს სტადიონზე ახალგაზრდები დაიჭირეს, რომლებსაც იქიდან 500 მეტრში პლაკატი ეჭირათ და 1000 ლარით დააჯარიმეს. მე ყველგან ვივლი, ყოველ საღამოს მივდიოდი ხალხში, მე პრობლემა არ მაქვს, დაცვის გარეშეც ვივლი. მაგრამ პრობლემა აქვს ქვეყანას, ბევრი ასეთი აქტიურობით, ბევრი ქაოსის შექმნის მცდელობით, არეულობის შექმნის მცდელობით, რადგან ამ ყველაფერს კონკრეტული ფასი აქვს - გაჩერებული წარმოებები, დაპირებული შემოსავლები, უსაფრთხოების განცდის მოშლა საქართველოში. გუშინ ისინი ხალხმა გააძევა, ჩემი თვალით ვნახე. მაგრამ მოდით, ამას ხალხს ნუ ააღებინებთ ხელში. ასეთ ხალხმრავალ ადგილას გარშემო სპეციალურად ერთი პოლიციელიც არ იყო. ეს რაზე მეტყველებს - ეს არის სახელმწიფოს მიერ გაკეთებული აქტი,“ - განაცხადა პრეზიდენტმა.

საქართველოს პარლამენტი მწუხარებას გამოთქვამს საქართველოს პარლამენტის წევრის რამაზ ნიკოლაიშვილის მამის,

გურამ ნიკოლაიშვილის

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს მას.

ევროპარლამენტი მოსკოვს კიევზე ზეწოლის გამო აკრიტიკებს

ევროპარლამენტის დეპუტატებმა რუსეთი უკრაინაზე ზეწოლის გამო მკაცრად გააკრიტიკეს. ევროპალამენტის განცხადებით, კიევის მიმართ მოსკოვის პოლიტიკა საერთაშორისო სამართალთან წინააღმდეგობაში მოდის.

ოთხშაბათს ევროპარლამენტის საგარეო საკითხების კომიტეტის სპეციალური სხდომა გამართა, სადაც რუსეთსა და უკრაინას შორის სავაჭრო დავები განიხილეს. «ბი-ბი-სი"-ს ინფორმაციით, დისკუსიაში უკრაინელი ოპოზიციონერები ვიტალი კლიჩკო და არსენ იაცენიუკი მონაწილეობდნენ.

ევროპარლამენტმა განაცხადა, რომ «საგარეო საკითხების კომიტეტმა სპეციალური სხდომა მოიწვია, სადაც იმსჯელეს რუსეთის ტაქტიკაზე, რომელიც ცდილობს, უკრაინასა და ევროკავშირს შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების გაფორმებას ხელი შეუშალოს. რუსეთს სურს, რომ უკრაინა, ბელარუსთან და ყაზახეთთან ერთად, საბაჟო კავშირში გაწევრიანდეს, რაც ევროკავშირთან ასოციაციის შეთანხმებასთან შეუთავსებელია."

განცხადებაში ასევე აღნიშნულია, რომ თუ უკრაინა საარჩევნო კანონებისა და სასამართლო სისტემის რეფორმირების სფეროში პროგრესს აჩვენებს, ასოციაციის შესახებ შეთანხმება, შესაძლოა, 28-29 ნოემბერს ვილნიუსში «აღმოსავლეთ პარტნიორობის" ფარგლებში გაფორმდეს.

«რუსეთი უკრაინაზე ზეწოლისთვის ყველა ღონეს მიმართავს, რაც საერთაშორისო სამართლის პრინციპებს ეწინააღმდეგება. მხოლოდ უკრაინის გადასაწყვეტია, მოაწერს თუ არა ხელს ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებას და არა ბრიუსელის ან მოსკოვის. ამიტომ, რუსეთის ამგვარი ზეწოლა დაუშვებელია," - განაცხადა კომიტეტის ხელმძღვანელმა ელმარ ბროკმა.

მერკელი: საბერძნეთი ევროზონაში არ უნდა მიეღოთ

გერმანიის კანცლერი ანგელა მერკელი დარწმუნებულია, რომ 2001 წელს საბერძნეთი ევროზონაში არ უნდა მიეღოთ. მერკელის თქმით, წინა კანცლერმა გერჰარდ შრიოდერმა საბერძნეთს ამის ნება მისცა და ამან სტაბილურობის პაქტის დასუსტება გამოიწვია. ეს კი ყველაზე ფუნდამენტურ შეცდომად იქცა, რომელიც არსებული ეკონომიკური პრობლემის ერთ-ერთი მთავარი მიზეზია. აღნიშნულის შესახებ ანგელმა მერკელმა, როგორც «ბლუმბერგი" იუწყება, ქალაქ რენდსბურგში წინასარჩევნო კამპანიის ფარგლებში გამოსვლისას განაცხადა. აღნიშნულით მერკელმა მთავარი ოპონენტის «სოციალ-დემოკრატიული პარტიის» კრიტიკას უპასუხა: „ჩვენ არ გვჭირდება იმ ხალხის კრიტიკა, რომლებმაც თავად მიიღეს საბერძნეთი ევროზონაში. ახლა სწორედ ისინი მიგვითითებენ, რომ დღეს საბერძნეთის გამო ბევრი პრობლემა გვაქვს," - აღნიშნა კანცლერმა. გერმანიაში საპარლამენტო არჩევნები 22 სექტემბერს არის დანიშნული.

ბაღდადში აფეთქებებს ათობით ადამიანი ემსხვერპლა

ერაყის პოლიციის ცნობით, ოთხშაბათს ბაღდადში აფეთქებების სერიის შედეგად, სულ მცირე, 50 ადამიანი დაიღუპა და ათობით ადამიანი დაშავდა. ბოლო წლებში (ძირითადად, ამერიკელების ერაყიდან გასვლის შემდეგ) ქვეყანაში რელიგიურ ნიადაგზე დაპირისპირებამ იმძლავრა. ქვეყნის მთავრობის განცხადებით, მეზობელ სირიაში არსებული ვითარების კიდევ უფრო გამწვავება სუნიტებსა და შიიტებს შორის დაპრისპირებას კიდევ უფრო გააძლიერებს.

ავღანეთი და აზერბაიჯანი ენერგეტიკის სფეროში ითანამშრომლებენ

უახლოეს მომავალში აზერბაიჯანისა და ავღანეთის მთავრობები ენერგეტიკის სფეროში თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებას მოაწერენ ხელს, - აღნიშნულის შესახებ აზერბაიჯანის ელჩმა ავღანეთში დაშგინ შიკაროვმა განაცხადა. დოკუმენტის ხელმოწერა სექტემბერში აზერბაიჯანში ავღანელი მინისტრის ვიზიტისას ქვეყნებს შორის მომავალი თანამშრომლობის აქტუალურ საკითხებს განიხილავენ.

ნიკოლას მადურო: ჩემზე თავდასხმა სირიაზე დარტყმას უნდა დამთხვეოდა

ვენესუელის პრეზიდენტ ნიკოლას მადუროზე თავდასხმა ამერიკის მიერ სირიაში სამხედრო მოქმედებების დაწყებას უნდა დამთხვეოდა, - აღნიშნულის შესახებ თავად პრეზიდენტმა ტაჩირის შტატში გამოსვლისას განაცხადა. «ეს იმპერია (აშშ) უნდა დასრულდეს და შემდეგ იმ ღირებულებებზე აღორძინდეს, რომლებსაც მარტინ ლუთერი კინგი იცავდა," - განაცხადა მადურომ.

პრეზიდენტის თქმით, მისი ლიკვიდაციის სცენარი 2002 წლის მსგავსი იყო, როდესაც ერაყში ამერიკის შეჭრა მაშინდელ პრეზიდენტ ჰუგო ჩავესის დამხობას უნდა დამთხვეოდა. ცოტა ხნის წინ მადურომ საჯაროდ დაუსვა კითხვა ამერიკის პრეზიდენტ ბარაკ ობამას, იცოდა თუ არა მან, რომ მადუროს მკვლელობა მზადდებოდა. ამასთან, მადურომ საერთაშორისო საზოგადოებას მოუწოდა, ყველაფერი იღონონ, რათა სირიაში სამხედრო ჩარევა შეაჩერონ: „სირიაზე თავდასხმის გამართლება არ შეიძლება," - აღნიშნა პრეზიდენტმა.

მოამზადა თამთა კახაძემ

მსოფლიო სირიის დაბომბვის მოლოდინში

პირველი გვერდიდან

სავარაუდო სამხედრო მოქმედებებისთვის ემზადება ყველა, მსოფლიოს წამყვანი სახელმწიფები, თვით სირია და მისი მეზობელი ქვეყნებიც - მიუხედავად იმისა, აპირებენ თუ არა ისინი სამხედრო დაპირისპირებაში მონაწილეობას.

შეერთებული შტატები, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი და მათი მოკავშირეები მიიჩნევენ, რომ ქიმიური იარაღის გამოყენება, თან საკუთარი მოსახლეობის წინააღმდეგ, დაუსჯელი არ უნდა დარჩეს, მიუხედავად იმისა, ძალის გამოყენებაზე იქნება თუ არა გაეროს უშიშროების საბჭოს სანქცია. 28 აგვისტოს უშიშროების საბჭოში დიდი ბრიტანეთის მიერ მომზადებული რეზოლუციის პროექტი შევიდა, რომელიც დაინტერესებულ მხარეებს „ყველა ზომის მიღების ნებას რთავს სირიაში მშვიდობიანი მოსახლეობის" დასაცავად. რეზოლუციის პროექტი დასაშვებად მიიჩნევს სამხედრო ძალის გამოყენებასაც მათ წინააღმდეგ, ვინც სირიაში ქიმიურ იარაღს „მიუღებლად" იყენებს. დიდი ბრიტანეთი მოითხოვს, რომ უშიშროების საბჭოს ყველა მუდმივმა წევრმა ერთხმად დაუჭიროს მხარი სირიის მოსახლეობის დასაცავად მომზადებულ რეზოლუციას. თუმცა რუსეთი და ჩინეთი ამის აშკარად არ აპირებენ. გუშინწინ მათ სხდომაც კი დატოვეს და მეორე დარბაზში გამოვიდნენ, სადაც ჰაიტის საკითხი იხილებოდა, თუმცა განაცხადეს, რომ მათი ეს ნაბიჯი დემარში არ ყოფილა. სხვათა შორის, სირიამ ეს ფაქტი თავის სასარგებლოდ გამოიყენა და მისმა წარმომადგენელმა გაეროში განაცხადა, რომ უშიშროების საბჭოს სხდომა, რომელსაც მუდმივი წევრებიდან მხოლოდ სამი ესწრება, უკანონოა. სირიის საგარეო საქმეთა მინისტრი ვალიდ მუალემი კი აცხადებს, რომ დასავლეთი სირიაზე თავდასასხმელად საბაბს იგონებს და სანამ მოქმედებებზე გადავა, ჯობია, ქიმიური იარაღის გამოყენების დამამტკიცებელი საბუთები მაინც წარმოადგინოს.

რუსეთი მიიჩნევს, რომ გადაწყვეტილების მიღებამდე სრულფასოვანი გამოძიება უნდა ჩატარდეს, რომელიც დაასკვნის, გამოიყენეს თუ რა ქიმიური იარაღი და ვინ გამოიყენა. რუსები უფრო ამბოხებულებზე ეჭვობენ. ამას გარდა, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ლავროვი და ამ უწყების სხვა წარმომადგენლები აცხადებენ, რომ გაეროს მანდატის გარეშე სამხედრო ჩარევა საერთაშორისო სამართლის ნორმების თვალსაზრისით უკონონობაა. ამასთან ერთად, ამ აქციამ შეიძლება, გაუთვალისწინებელი და გამოუსწორებელი შედეგები მოიტანოს. სირიის კიდევ ერთი მოკავშირე ირანიც - კერძოდ ამ ქვეყნის სულიერი და ფაქტობრივი ლიდერი აიათოლა ალი ჰამენეი - მიიჩნევს, რომ სირიაში საგარეო ჩარევა სამხედრო ძალით დაუშვებელია. მან რეგიონი დენთის კასრს შეადარა, რომელიც შეიძლება, ადვილად აფეთქდეს.

28 აგვისტოს გაეროს გენერალური მდივანიც მოუწოდებდა უშიშროების წევრ სახელმწიფოებს, საერთო ენა როგორღაც გამოენახათ, არ ეჩქარათ, გაეროს ინსპექტორთა ჯგუფის დასკვნას დალოდებოდნენ და ერთად ემოქმედათ. „ორგანიზაცია, რომელსაც უსაფრთხოებაზე ზრუნვა ევალება, არ შეიძლება, „უგზო-უკვლოდ დაკარგული" აღმოჩნდეს. მიეცით მშვიდობას შანსი, მიეცით შანსი დიპლომატიას. შეწყვიტეთ ომი და დაიწყეთ მოლაპარაკებები." თუმცა, ქიმიური იარაღის გამოყენების ფაქტში ეჭვი უკვე აღარც გაეროს ეპარება. ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელობას, ეტყობა, უკვე აქვს ინსპექტორთა დასკვნის საწყისი ვარიანტი, რომელიც გამოსაქვეყნებლად ჯერ მზად არ არის. გაეროსა და არაბულ სახელმწიფოთა ლიგის სპეციალურმა წარმომადგენელმა სირიაში, ალჟირელმა დიპლომატმა ლახდარ ბრაჰიმიმ განაცხადა: „ცხადია, გამოყენებულია რაღაც სუბსტანცია, რის შედეგადაც ბევრი ადამიანი დაიღუპა". თუმცა მანაც აღნიშნა, რომ ნებისმიერი სამხედრო მოქმედება გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ უნდა იყოს სანქცირებული.

თვით გაეროს ექსპერტთა ჯგუფი კი, რომელმაც უსაფრთხოების გამო ერთი დღით, სამშაბათს, მუშაობა შეწყვიტა, ისევ სირიაში იმყოფება და კვლევას აგრძელებს. თუმცა დღეს, პარასკევს, მათი უკანასკნელი სამუშაო დღე იქნება და ხვალ, დილით, ისინი სირიას დატოვებენ. არის ვარაუდი, რომ მუშაობის სწრაფად დამთავრება ამ ჯგუფს აშშ-მ სთხოვა. გავრცელდა ინფორმაცია, რომ სირიას ტოვებს გაეროს წარმომადგენლობის თითქმის მთელი პერსონალიც, ფუნქციურად აუცილებელი პირებისა და გოლანის მაღლობებზე განლაგებული სამშვიდობო მისიის გარდა. თუმცა ეს ინფორმაცია გუშინ ოფიციალურად არ დადასტურებულა. ბან კი მუნმა ექსპერტთა ჯგუფის მიერ მუშაობის დამთავრება დაადასტურა, თუმცა ჟურნალისტების კითხვის შემდეგ მან უარყო, რომ ეს „ევაკუაციაა".

ინტერვენციის იურიდიული საფუძვლები

ექსპერტები აცხადებენ, რომ სიტყვათშეთანხმება „საერთაშორისო სამართალი" ისე ჟღერს, თითქოს საქმე გვქონდეს დამტკიცებული წესებისა და პრეცედენტების კომპლექსთან, რაც ყველა ქვეყანასთან შეთანხმებულია, ყველას მიერ ერთნაირად ინტერპრეტირებულია და მარტივად გამოსაყენებელია. სინამდვილეში, ასე არ არის. სამხედრო ინტერვენციების მყარი განმარტება და საერთაშორისო წესების შემუშავება, რომლებითაც ის დარეგულირდება, რთული ან თითქმის გადაუწყვეტელი ამოცანაა. არ არსებობს საერთაშორისო სასამართლო, რომელსაც შეუძლია, ამა თუ იმ ინტერვენციის კანონიერება დაამტკიცოს. თუმცა მაინც ხდება სამართლებრივი სივრცის განვითარება, რათა სამხედრო ინტერვენცია ჰუმანიტარული მიზნებით გამართლდეს. გაჩნდა კონცეფცია „პასუხისმგებლობა დასაცავად", რაც უკვე გამოიყენეს კოსოვოსა და რუანდაში. მან საერთაშორისო საზოგადოებაში ფართო, თუმცა არა ცალსახა მხარდაჭერა მიიღო. საუკეთესო ვარიანტია გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია, რაზეც ყველა თანხმდება, მაგრამ მისი მიღება ყოველთვის არ არის შესაძლებელი მუდმივ წევრებს შორის აზრთა და ინტერესთა დაპირისპირების გამო.

არსებობს აზრი, რომ „პასუხისმგებლობა დასაცავად" უკანასკნელ ვარიანტად სამხედრო ძალის გამოყენებასაც გულისხმობს, რაც შეიძლება, რეგიონული კოალიციის ან „მსურველთა კოალიციის" მეშვეობით განხორციელდეს. ის გულისხმობს რამდენიმე კრიტერიუმს, რომელთა შემთხვევაშიც ძალის გამოყენება შეიძლება, კანონიერად მივიჩნიოთ: 1) უნდა იყოს საფუძვლიანი მტკიცებულება იმისა, რომ კაცობრიობის წინააღმდეგ დანაშაულს აქვს ადგილი და მისი შეჩერება ვერ ხერხდება; 2) მანამდე გამოყენებულ უნდა იქნეს კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების ყველა საშუალება, დიპლომატია და სანქციები (სადავო არ არის, რომ ეს ორივე პუნქტი სირიაში დიდი ხანია, სახეზეა); 3) ნებისმიერი ძალისმიერი ზომები მიმართული უნდა იყოს მხოლოდ დანაშაულის აღსაკვეთად მშვიდობიანი მოსახლეობის დაცვის მიზნით. სხვა სიტყვებით, ეს არის შეზღუდული სამხედრო მოქმედებების უფლება.

თუმცა, მიმომხილველები აღიარებენ, რომ სამხედრო ინტერვენციები და მათთვის იურიდიული საფუძვლების მომზადება მთავრობების საქმეა და არა იურისტების. სირიის შემთხვევაშიც სავარაუდო კოალიციის მონაწილეები იტყვიან, რომ დანაშაულის არ წყდება, მშვიდობიანი მეთოდები ამოიწურა და საომარი მოქმედებების მიზანი სიმხეცის აღკვეთა და მოსახლეობის დაცვა იქნება.

ზუსტად ასეც მოხდა. დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა უილიამ ჰეიგმა განაცხადა, რომ „ჰუმანიტარული ინტერვენცია" არის „იურიდიული საფუძველი" სირიის წინააღმდეგ ძალის გამოსაყენებლად. ბრიტანეთის პარლამენტში შესაბამისი დოკუმენტი სწორედ ამ საფუძველზე შევიდა, თუმცა ამის შესახებ ოდნავ ქვემოთ.

სავარაუდო სამხედრო სცენარი

დასავლეთს სამხედრო მოქმედებების 5 სცენარი უკვე აქვს. ის ყველაზე მწყობრად ჩამოყალიბებულია აშშ-ს შტაბების უფროსთა გაერთიანებული კომიტეტის თავმჯდომარის, გენერალ მარტინ დემპსის წერილში, რომელიც მან კონგრესმენებს გაუგზავნა და რომელიც საიდუმლო არ არის. ჩვენ ამ წერილისა და ვარიანტების შესახებ თავის დროზე უკვე ვწერდით, ამიტომ აქ მხოლოდ მოკლედ შევეხებით. შესაძლოა, ამ ვარიანტებიდან განხორციელდეს რომელიმე ან მათი სხვადასხვა კომბინაცია, ისინი ერთმანეთს არ გამორიცხავს. თან არც ერთი სცენარი არ არის ამომწურავი და უფრო მეტიც, ხუთივეს ამოქმედების შემთხვევაშიც გარანტია არ არსებობს, რომ სირიაში მშვიდობა მალე დამყარდება და დასავლეთი, ერაყისა და ავღანეთის მსგავსად, კიდევ ერთ გაწელილ კონფლიქტში არ გაეხვევა. თვით მარტინ დემპსი თავიდანვე აცხადებდა, რომ მას სირიის კრიზისში ჩარევა არ უნდა და სასურველია, თუ არც ერთი სცენარით მოქმედება არ მოუწევს. თუმცა ეს პოზიცია აქტუალური იყო ქიმიური იარაღის ამ ბოლო, „საჩვენებელ" გამოყენებამდე, ქვეყანაში გაეროს ინსპექტორების ყოფნის დროს.

პირველი სცენარია შეზღუდული სარაკეტო დარტყმები. ამ ვარიანტში შეიძლება, დაიბომბოს ასადის არმიის საწყობები, სამეთაურო პუნქტები, ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემები, სამხედრო ქარხნები და სხვ. ეს შეიძლება, შორიდან, ნატოს მუდმივი სამხედრო ბაზებიდან განხორციელდეს და მას სამხედრო ძალის გადასროლა არ დასჭირდება - ისე, როგორც ლიბიაში და მალიში გაკეთდა (საფრანგეთის მიერ). ოღონდ ამ ვარიანტს, ძირითადად, ასადის დასჯის ან შეშინების ფუნქცია აქვს და შეიძლება, სამოქალაქო ომის მსვლელობაზე გადამწყვეტი გავლენა ვერ მოახდინოს. მეორე სცენარია სირიის ოპოზიციის დახმარების გაძლიერება, მათ შორის იარაღის მიწოდება და გაწვრთნა. ეს დასავლეთისთვის უსისხლო და შედარებით მარტივი მეთოდია, თუმცა არის საფრთხეც, ამბოხებულები ერთიან მეთაურობას არ ექვემდებარებიან და ყველაზე ბრძოლისუნარიანი დაჯგუფებები „ალ ქაიდასთან" არიან დაკავშირებულნი. მესამე და მეოთხე ვარიანტებია არასაფრენი ზონის ან ბუფერული ზონების შექმნა სირიაში - მაგალითად, თურქეთის და იორდანიის საზღვრებთან. ეს ვარიანტები, ფაქტობრივად, უარყოფილია, რადგან ტექნიკურად ძნელი განსახორციელებელია საქმეში დიდი ძალების ჩართვის გარეშე. ამისთვის საჭიროა სირიის ჰაერსაწინააღმდეგო სისტემების თითქმის მთლიანად განადგურება, გამანადგურებელი ავიაციის გამოყენება ჰაერში აფრენილი სირიული თვითმფრინავების ჩამოსაგდებად. ეს კი უკვე საშიშია იმ თვალსაზრისით, რომ მოსალოდნელია მსხვერპლი და დანაკარგები. ბუფერული ზონების შექმნას, ფაქტობრივად, იგივე ძალისხმევა სჭირდება, თან არის კითხვებიც - რა უნდა თქვას კოალიციამ, თუ ამ ზონებზე ხმელეთიდან თავდასხმა იქნება ან იქ ერთად შეკრებილი ლტოლვილთა ჯგუფების საარტილერიო დაბომბვა მოხდება? ეს ოპერაციას ისევ გრძელვადიან სახმელეთო დაპირისპირებაში გადაზრდის. მეხუთე ვარიანტია სირიის ქიმიური იარაღის მარაგის ხელში ჩაგდება. ეს ყველაზე რთულად განსახორციელებელი ამოცანაა, მოითხოვს სახმელეთო სპეცდანიშნულების შენაერთების გამოყენებას გაურკვეველი ვადით, თან ამ მარაგის მთლიანად გაკონტროლების გარანტიაც არ არსებობს. დღეს ყველა აცხადებს, რომ უფრო მოსალოდნელია პირველი და ნაწილობრივ მეორე ვარიანტით მოქმედება. არ განიხილება გრძელვადიანი, მით უმეტეს, სახმელეთო ოპერაცია, თუმცა ერაყის და ავღანეთის „აჩრდილი" ყველას თვალწინ უდგას.

მეზობლების რეაქცია

ცხადია, მეზობელ სახელმწიფოში სერიოზული კონფლიქტი არც ერთი ნორმალური ქვეყნის ინტერესი არ არის, თუმცა ხანდახან გამოსავალი არ არსებობს და ზოგ მათგანს სხვადასხვა ფორმებით ჩარევაც მოუწევს. დღეს ყველაზე აქტიურია თურქეთი, რომელიც აცხადებს, რომ გაერთიანდება ნებისმიერ კოალიციაში, თუნდ ძალის გამოყენებაზე გაეროს სანქციის გარეშე, და ამ კოალიციაში, დაახლოებით, 30 სახელმწიფოს გაერთიანებას ვარაუდობს. თურქეთმა ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის მთელი სისტემა უკვე საბრძოლო მდგომარეობაში გადაიყვანა და სირიისგან მომდინარე საფრთხისგან დასაცავად მიმართა.

საუდის არაბეთი და სხვა ზომიერი პროდასავლური არაბული სახელმწიფოები კოალიციაში მონაწილეობას მიიღებენ. ამის გაკეთება ალბათ სირიის სამხრეთ მეზობელ იორდანიასაც მოუწევს, თუმცა ამის სურვილი მაინც-დამაინც არ ეტყობა.

უმთავრესად შიიტური ერაყი, გასაგები მიზეზების გამო, ნეიტრალურ პოზიციაზე დარჩება, თუმცა შეიძლება, ლტოლვილთა დიდი ნაკადის მიღება მოუწიოს.

ისრაელს გამოკვეთილად ნეიტრალური პოზიცია უკავია, არაბულ-დასავლურ კოალიციაში ამ ქვეყნის ადგილი არანაირად არ არის. უბრალოდ, თეორიულად არ გამოირიცხება, რომ სირიამ ან ირანმა დაპირისპირებაში ისრაელის ჩათრევა მოისურვონ. უფრო მოსალოდნელია, რომ ეს ლიბანური დაჯგუფება „ჰეზბოლას" ხელით გაკეთდეს. ისრაელის მოსახლეობა ქიმიური იარაღისგან დამცავ კომბინეზონებს იმარაგებს და ზურგის სამსახურების, ასევე ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის რეზერვისტთა მობილიზაციაა გამოცხადებული. ისრაელს დასავლეთი, სავარაუდოდ, ურჩევს, თავი შეიკავოს თუნდ სერიოზულ პროვოკაციაზე პასუხის გაცემისგან, თუმცა ნეთანიაჰუ აცხადებს, რომ თავდასხმასმით უმეტეს, «ჰეზბოლას» მხრიდან - უპასუხოდ არ დატოვებენ.

უკანასკნელი მზადება

გუშინ სირიის კონფლქტში ჩარევის საკითხს ბრიტანეთის პარლამენტში განიხილავდნენ, ასევე აშშ-ს პრეზიდენტის ადმინისტრაციის წარმომადგენლები კონსულტაციებისთვის კონგრესის ხელმძღვანელობას ხვდებოდნენ. სავარაუდოდ, აშშ ამის შემდეგ მაინც გამოაქვეყნებს იმ დამატებით საგაზვერვო ინფორმაციას, რაც, მათი სიტყვებით, ასადის მიერ ქიმიური იარაღის გამოყენებას ამტკიცებს და რის გამომზეურებასაც ვაშინგტონი საერთაშორისო საზოგადოებას უკვე სამი დღეა, ჰპირდება.

ამას გარდა, ხმელთაშუა ზღვაში და კვიპროსზე თავის სამხედრო ყოფნას აძლიერებენ აშშ, დიდი ბრიტანეთი და საფრანგეთი. თავის საზღვაო დაჯგუფებას აძლიერებს რუსეთიც, მაგრამ აცხადებს, რომ ომს არვისთან აპირებს.

ხუთშაბათს, გვიან საღამოს, სირის თემის განსახილველად უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრების მორიგი შეხვედრა იყო დაგეგმილი.

გუშინ, საღამოს, სირიის პრეზიდენტმა ასადმა განაცხადა, რომ მისი ქვეყანა დასავლეთის აგრესიისგან თავს დაიცავს (მანამდე ვრცელდებოდა ინფორმაციები კამიკაძე-მფრინავების მომზადებისა და ჯარების გადაჯგუფების შესახებაც).

ვენეციური გრავიტაცია

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

«ფილომენა»

«ნულოვანი თეორემა»

როგორც კინის ისტორია გვამცნობს, ვენეციაში პირველი კინოჩვენება ჯერ კიდევ 1895 წელს, კაპუცინების ბულვარზე მატარებლის შემოსვლიდან რამდენიმე თვეში შემდგარა. ეს მსოფლიოში პირველი ბიენალეს ფარგლებში მოხდა, რომელიც დღემდე არსებობს და, როგორც ას წელზე მეტი ხნის წინ, მსოფლიოს საუკეთესო თანამედროვე ხელოვნებას აცნობს. დროთა განმავლობაში ბიენალეს მასშტაბები და მნიშვნელობა იმდენად გაიზარდა, რომ მის შესახებ ბენიტო მუსოლინისაც გაუგია, რომელმაც ხელოვნებაშიც მოისურვა საკუთარი წვლილის შეტანა და ბიენალეს ორგანიზატორებს კინოფესტივალის ჩატარების დირექტივა მისცა. ამ, ცოტა არ იყოს, უხერხულ ფაქტს სულაც არ შეუშლია ხელი ვენეციის კინოფესტივალისთვის მსოფლიოს ა კლასის ფესტივალებს (კანი, ბერლინი) შორის დაემკვიდრა ადგილი და 70 წლის განმავლობაში შეენარჩუნებინა კიდეც.

წლევანდელი ვენეცია ალფონსო კუარონის «გრავიტაციამ» გახსნა, რომლის მთავარი მსახიობები - ჯორჯ კლუნი და სანდრა ბალოკი ფესტივალის საპატიო სტუმრები არიან. შეიძლება ითქვას, რომ კლუნი და ბალოკი «გრავიტაციის“ ერთადერთი სამსახიობო წყვილია, რადგან მის ქასთში მოხსენიებული დანარჩენი კანტიკუნტი მსახიობებისა ფილმში მხოლოდ ხმები ისმის. «გრავიტაცია» გრავიტაციაზეა - უფრო სწორად, იმ ტიპის გრავიტაციაზე, რომელიც დედამიწისგან სულ სხვა მიმართულებით მიგაქანებს ვიდრე მესამე პლანეტა პატარა წერტილად არ იქცევა, საბოლოოდ კი შავი კოსმოსის ფონზე ინთქმება. სწორედ ასეთ სურათს ხედავენ კლუნისა და ბალოკის ასტრონავტი პერსონაჟები, რომლებიც ხელოვნური თანამგზავრის რემონტისას დაშვებული ტექნიკური შეცდომის გამო ღია კოსმოსში აღმოჩნდებიან. წესით, ეს არ გახლავთ ფილმი ფანტასტიკა ამ ჟანრის კლასიკური გაგებით, რადგან მისი ავტორი ალფონსო კუარონი გახლავთ - რეჟისორი ძალიან საინტერესო კინობიოგრაფიით, რომელსაც საუკეთესოდ შეუძლია სანახაობისა და შინაარსის, პერსონაჟთა ემოციებისა და განცდების ეკრანზე გადმოტანა.

ეს განცდები უკვე იხილა და შეაფასა ვენეციელმა მაყურებელმა, ახლა კი საკონკურსო ფილმების ჯერია.

საკონკურსო ფილმებს შორისაა ტერი გილიამის «ნულოვანი თეორემა». ეს ფილმი ინგლისელმა რეჟისორმა 6 წლიანი პაუზის შემდეგ გადაიღო (მისი ბოლო ფილმია «დოქტორ პარნასუსის წარმოდგენარიუმი»), მთავარ როლებში კი ტილდა სუინტონი, კრისტოფ ვალცი, მეტ დეიმონი, დევიდ ტუილისი და ბენ უიშოუ ჰყავს. ანოტაციის თანახმად ამ მსახიობების პერსონაჟებს ტოტალიტარულ რეჟიმში უწევთ არსებობა, რაც მაყურებელს აუცილებლად გაახსენებს არა მხოლოდ ორუელის «1984-ს», არამედ იმავე გილიამის «ბრაზილიასაც».

კინომცოდნეები ასევე ბრიტანელი სტივენ ფრირზის «ფილომენაზე» ყურადღების გამახვილებასაც გვირჩევენ. ეს არის ოჯახური დრამა ჯუდი დენჩისა და სტივ კუგანის მონაწილეობით, რომელთა გმირი დედა-შვილიც მრავალწლიანი განშორების შემდეგ ერთმანეთის ძებნას იწყებენ. 5 წლის შემდეგ ახალი ფილმი გადაიღო თანამედროვე ანიმეს მამა ჰაიაო მიაძაკიმ. მან ვენეციაში სრუმლეტრაჟიანი Kaze Tachinu («ქარი ძლიერდება») ჩაიტანა. ანიმე თავად მაიძაკის მანგას ეფუძნება და იაპონელი კონსტრუქტორის, ძირო ხორიკოსის შესახებ მოგვითხრობს. აღსანიშნავია, რომ 2008 წელს გამოსული მიაძაკის «პონიო» ასევე იყო ნომინირებული ვენეციის «ოქროს ლომზე», 2004 წელს კი «ლომს» «ჰაულის მოსიარულე სასახლეც» უმიზნებდა. ამრიგად იაპონელ ანიმატორს ამ ქალაქში კონკურენციის კარგი გამოცდილება აქვს.

ამერიკული კინო შემდეგი საკონკურსო ფილმებითაა წარმოდგენილი: მსახიობ ჯეიმს ფრანკოს მიერ გადაღებული კორმაკ მაკარტის «ღმერთის შვილის» ამავე სახელწოდების ეკრანიზაცია, პიტერ ლენდსმანის «პარკლენდი», ეროლ მორისის «უცნობი ნაცნობი» (დოკუმენტური ფილმი დონალდ რამსფელდის შესახებ), კელი რეიჰარდის «ღამე მოძრაობს», დევიდ გორდონ-გრინის «ჯო» და ჯონათან გლეიზერის «კანს ქვეშ». იტალიურ კინოს წარმოადგენს: ჯანი ამელიოს «უშიშარი», ემა დანტეს «ქუჩა, კოშკი, დროშა» და ჯანფრანკო როსის «წმინდა გრაალი» (დოკუმენტური). აქვეა ფრანგული «ეჭვიანობა» (რეჟისორი ფილიპ გარელი) და რამდენიმე ფრანგული კოპროდუქცია, მათ შორის, ამოს გიტაის «ანა არაბია» და რამდენიმე სხვაც (მთელი პროგრამა იხილეთ ფესტივალის ოფიციალურ ვებგვერდზე).

როგორც გითხარით, წლევანდელი კინოფესტივალის ჟიურის ბერნარდო ბერტოლუჩი ხელმძღვანელობს. მასთან ერთად ფილმებს განსჯიან ბრიტანელი რეჟისორი ანდრეა არნოლდი, შვეიცარელი ოპერატორი რენატო ბერტა, ამერიკელი მსახიობი კერი ფიშერი, გერმანელი მსახიობი მარტინა გედეკი, ჩინელი მსახიობი ჩჟიან ვენი, ჩილელი რეჟისორი პაბლო ლარაინი, ფრანგი მსახიობი ვირჯინ ლედუიენი და იაპონელი მუსიკოსი რიუჩი საკამოტო. ვენეციის რჩეულებს 7 სექტემბერს დაასახელებენ.

ᲡᲞᲝᲠᲢᲘ

გადაულახავი ბარიერი

შაუბმა ანგარიში გახსნა

გორის «დილამ» ევროპის ლიგაზე გამოსვლა დაასრულა. გორელებმა ლიგის მიმდინარე გათამაშებაში 6 შეხვედრაში მხოლოდ 4 გოლი გაუშვეს, მაგრამ ოთხივე ვენის «რაპიდისგან» და ფლეი ოფში დაემშვიდობნენ გათამაშებას. გორელები ზედიზედ მეორე წელია ევროპის ლიგის ფლეი ოფში თამაშობენ და ჯგუფურ ტურნირამდე ეს ბოლო ბარიერი ვერაფრით გადალახეს. არადა, «დილამ» მეორე და მესამე საკვალიფიკაციო ეტაპებზე ისეთი თამაშები აჩვენა, ქართველი გულშემატკივარი მისგან მეტს მოელოდა.

როგორც ჩანს, არც კლუბი და არც მთლიანად ქართული ფეხბურთი ჯგუფური ეტაპებისთვის ჯერ მზად არ არის. გორელებს არც ავსტრიელებთან შეხვედრაში დაუკლიათ მცდელობისთვის, მაგრამ გამარჯვების მოსაპოვებლად მათ უბრალოდ ოსტატობა არ ეყოთ.

ვენის «რაპიდთან» შეხვედრაში ჩანდა, რომ ავსტრიელები უფრო კონცენტრირებული იყვნენ, სათამაშო დისციპლინაც უკეთეს დონეზე ჰქონდათ დაყენებული. სწრაფად გადადიოდნენ დაცვიდან შეტევებში. უკეთ ხედავდნენ მინდორს და შესაბამისად, უფრო მწვავე გადაცემებსაც ახორციელებდნენ. ამ მიზეზებმა განაპირობეს კიდეც მათი გამარჯვება.

«დილა» უფრო ინდივიდუალურ ყაიდაზე იყო მოწყობილი. ილურიძე, დოლიძე ცდილობდნენ ერთი-ერთზე ეჯობნათ მცველებისთვის და ისე შეეტიათ სტუმართა კარისთვის, მაგრამ გადამწყვეტ, ზუსტ დარტყმებს ვერ ახორციელებდნენ. გორელებმა პირველ ტაიმში ერთი მეტად ხელსაყრელი მომენტი გაანიავეს. ეს მომენტიც მაშინ შეიქმნა, როცა ილურიძემ და დოლიძემ ტანდემში კარგად ითამაშეს. ილურიძის ზუსტ გადაცემას დოლიძე გამოეხმაურა, მეკარესთან პირისპირ დარჩა, მაგრამ მისი დარტყმა ავსტრიელთა კიპერმა მოიგერია. არადა, დოლიძისგან მარცხნივ, ცარიელი კარის წინ მაისურაძე იდგა, დოლიძეს ის რომ შეემჩნია, გოლი გარდაუვალი იქნებოდა, მაგრამ «დილას» ფორვარდმა პარტნიორი ვერ შეამჩნია. არადა, მაშინ ანგარიში - 0:0 იყო და გორელებს რომ გოლი გაეტანათ, თამაში სხვა რიტმში გადაერთვებოდა.

ამის საპირისპიროდ, ჰოფმანმა შეამჩნია შაუბი, რომელსაც პირველი ტაიმის დამატებულ წუთზე ზუსტი პასი გადასცა და მანაც ანგარიში გახსნა. წვრილმანი დეტალია, მაგრამ ამ დეტალებში იყო სხვაობა გორელებსა და ავსტრიელებს შორის, რამაც საბოლოო ჯამში გამარჯვების სასწორი «რაპიდის» სასარგებლოდ გადახარა.

სამწუხაროა, მაგრამ პირველი ტაიმის ბოლო წუთზე გაშვებულმა გოლმა გორელები გატეხა. მეორე ნახევარში გიორგი დევდარიანმა მინდორზე ერთბაშად ორი ფორვარდი, მოდებაძე და გორელიშვილი შეიყვანა, მაგრამ უკუღმა დატრიალებული ჩარხი, გორელთა შემტევებმა წაღმა ვეღარ შემოატრიალეს. პირიქით, გოლმა ავსტრიელებს დამატებითი სტიმული მისცა და მატჩის სადავეები მთლიანად ხელში ჩაიგდეს. საბიტცერმა და მატჩის უკანასკნელ წუთზე ბერენდტმა კიდევ ორჯერ მოახერხეს მასპინძელთა დამწუხრება და თბილისურ შეხვედრაში დიდი ანგარიში დააფიქსირეს - 3:0 ავსტრიელთა სასარგებლოდ. აშკარაა, რომ თუ ევროტურნირების ჯგუფურ ეტაპებზე თამაში გვსურს, ქართულმა გუნდებმა მეტი ინვესტიციები უნდა განახორციელონ და კლუბებში მაღალკვალიფიციური ფეხბურთელები მიიწვიონ.

დილა - რაპიდი 0:3

გოლები: 0:1 - შაუბი (45`), 0:2 - საბიტცერი (63`), 0:3 - ბერენდტი (90`)

დიდიე დეშამმა საქართველოსთან სათამაშოდ ფეხბურთელებს უხმო

მსოფლიოს 2014 წლის ჩემპიონატის შესარჩევში საფრანგეთთან 6 და ფინეთთან 10 სექტემბერს გასამართი მატჩებისთვის თემურ ქეცბაიამ მოსამზადებლად 23 ფეხბურთელს უხმო. ნაკრები ორივე შეხვედრისთვის ტექნიკურ ცენტრ „ბასაზე“ 2 სექტემბრიდან შეიკრიბება. მანამდე კი საფრანგეთის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა დიდიე დეშამმა 6 სექტემბერს საქართველოსთან, ხოლო 10 სექტემბერს ბელარუსის ნაკრებთან სტუმრად ჩასატარებელი მატჩებისთვის შეკრებაზე გამოძახებულ ფეხბურთელთა ვინაობა დაასახელა.

საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციის ოფიციალური ვებგვერდის ცნობით, დეშამმა არჩევანი შემდეგ მოთამაშეებზე გააკეთა:

მეკარეები: მიკაელ ლანდრო („ბასტია“), უგო ლორისი („ტოტენჰემი“, ინგლისი), სტივ მანდანდა („მარსელი“).

მცველები: ერიკ აბიდალი („მონაკო“), გაელ კლიში („მანჩესტერ სიტი“, ინგლისი), მატიე დებუში („ნიუკასლი“, ინგლისი), პატრის ევრა („მანჩესტერ იუნაიტედი“, ინგლისი), ლორენ კოსიელნი, ბაკარი სანია (ორივე „არსენალი“, ინგლისი), ელიაქიმ მანგალა („პორტო“, პორტუგალია), ადილ რამი („ვალენსია“, ესპანეთი).

ნახევარმცველები: ფრანკ რიბერი („ბაიერნი“, გერმანია), მატიე ვალბუენა („მარსელი“), ეტიენ კაპუე („ტოტენჰემი“, ინგლისი), კლემენტ გრენიე („ლიონი“), ჟოზუა გილავოგი („სენტ-ეტიენი“), ჟოფრეი კონდოგბია („მონაკო“), ბლეზ მატუიდი (პსჟ), პოლ პოგბა („იუვენტუსი“, იტალია), მუსა სისოკო („ნიუკასლი“, ინგლისი).

თავდამსხმელები: ქარიმ ბენზემა („რეალი“, ესპანეთი), ანდრე პიერ-ჟინიაკი, დიმიტრი პაიე (ორივე „მარსელი“), ოლივიე ჟირუ („არსენალი“, ინგლისი), სამირ ნასრი („მანჩესტერ სიტი“, ინგლისი).

განცხადება ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ № SPA130018857

შემსყიდველი	თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი
ტენდერის გამოცხადების თარიღი	29.08.2013 13:23
წინადადებების მიღება იწყება	14.09.2013 00:00
წინადადებების მიღება მთავრდება	19.09.2013 15:00
შესყიდვის სავარაუდო ღირებულება	19650 ლარი
სატენდერო განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს	დღგ-ს გათვალისწინებით
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი	33100000-სამედიცინო მოწყობილობები
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი	33100000-სამედიცინო მოწყობილობები
შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა	იხ. სატენდერო დოკუმენტაცია
მოწოდების ვადა	იხ. სატენდერო დოკუმენტაცია
შეთავაზების ფასის კლების ბიჯი	80 ლარი
გარანტიის ოდენობა	197 ლარი

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.procurement.gov.ge

განცხადება ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ № SPA130018810

შემსყიდველი	წალენჯიხის მუნიციპალიტეტი
ტენდერის გამოცხადების თარიღი	27.08.2013 19:34
წინადადებების მიღება იწყება	13.09.2013 00:00
წინადადებების მიღება მთავრდება	18.09.2013 15:00
შესყიდვის სავარაუდო ღირებულება	1498395 ლარი
სატენდერო განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს	დღგ-ს გათვალისწინებით
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი	45200000-მთლიანი ან ნაწილობრივი სამშენებლო სამუშაოები და სამოქალაქო მშენებლობის სამუშაოები
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი	45233140-გზის სამუშაოები
შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა	იხილეთ სატენდერო დოკუმენტაციაში
მოწოდების ვადა	2013 წლის 31 დეკემბრამდე
შეთავაზების ფასის კლების ბიჯი	6000 ლარი
გარანტიის ოდენობა	14984 ლარი

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.procurement.gov.ge

განცხადება გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ № SPA130018808

შემსყიდველი	ქ.თბილისის საკრებულოს აპარატი
ტენდერის გამოცხადების თარიღი	27.08.2013 19:27
წინადადებების მიღება იწყება	02.09.2013 00:00
წინადადებების მიღება მთავრდება	04.09.2013 12:30
შესყიდვის სავარაუდო ღირებულება	2400 ლარი
სატენდერო განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს	დღგ-ს გათვალისწინებით
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი	30200000-კომპიუტერული მოწყობილობები და აქსესუარები
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი	30200000-კომპიუტერული მოწყობილობები და აქსესუარები , 30213200-პლანშეტური კომპიუტერები (ტაბლეტები)
შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა	1 ცალი
მოწოდების ვადა	ხელშეკრულების დადების დღიდან 2სამუშაო დღე
შეთავაზების ფასის კლების ბიჯი	10 ლარი
გარანტიის ოდენობა	24 ლარი

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.procurement.gov.ge

განცხადება გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ № SPA130018809

შემსყიდველი	არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო
ტენდერის გამოცხადების თარიღი	27.08.2013 19:34
წინადადებების მიღება იწყება	26.09.2013 00:00
წინადადებების მიღება მთავრდება	30.09.2013 12:00
შესყიდვის სავარაუდო ღირებულება	11750 ლარი
სატენდერო განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს	დღგ-ს გათვალისწინებით
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი	30200000-კომპიუტერული მოწყობილობები და აქსესუარები
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი	30213300-მაგიდის კომბიუტერები (დესკტოპები), 30234600-ფლეშმეხსიერება
შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა	იხ. სატენდერო დოკუმენტაცია.
მოწოდების ვადა	ხელშეკრულების გაფორმებიდან, ერთიანად 3 (სამი) კალენდარული დღის ვადაში.
შეთავაზების ფასის კლების ბიჯი	80 ლარი
გარანტიის ოდენობა	118 ლარი

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.procurement.gov.ge

განცხადება ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ № SPA130018812

შემსყიდველი	საქართველოს თავდაცვის სამინისტრო
ტენდერის გამოცხადების თარიღი	27.08.2013 19:45
წინადადებების მიღება იწყება	13.09.2013 00:00
წინადადებების მიღება მთავრდება	18.09.2013 12:00
შესყიდვის სავარაუდო ღირებულება	28000 ლარი
სატენდერო განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს	დღგ-ს გათვალისწინებით
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი	09100000-საწვავი
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი	09100000-საწვავი , 09135000-მაზუთი
შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა	20 ტონა
მოწოდების ვადა	იხ. სატენდერო დოკუმენტაცია
შეთავაზების ფასის კლების ბიჯი	112 ლარი
გარანტიის ოდენობა	280 ლარი

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.procurement.gov.ge

განცხადება ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ № SPA130018814

შემსყიდველი	საქართველოს თავდაცვის სამინისტრო
ტენდერის გამოცხადების თარიღი	27.08.2013 19:57
წინადადებების მიღება იწყება	13.09.2013 00:00
წინადადებების მიღება მთავრდება	18.09.2013 12:30
შესყიდვის სავარაუდო ღირებულება	71280 ლარი
სატენდერო განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს	დღგ-ს გათვალისწინებით
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი	09100000-საწვავი
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი	09100000-საწვავი , 09122000-პროპანი და ბუტანი
შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა	26400 კგ
მოწოდების ვადა	იხ. სატენდერო დოკუმენტაცია
შეთავაზების ფასის კლების ბიჯი	285 ლარი
გარანტიის ოდენობა	713 ლარი

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.procurement.gov.ge

განცხადება ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ № SPA130018813

შემსყიდველი	წალენჯიხის მუნიციპალიტეტი
ტენდერის გამოცხადების თარიღი	27.08.2013 19:49
წინადადებების მიღება იწყება	13.09.2013 00:00
წინადადებების მიღება მთავრდება	18.09.2013 13:00
შესყიდვის სავარაუდო ღირებულება	596510 ლარი
სატენდერო განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს	დღგ-ს გათვალისწინებით
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი	45200000-მთლიანი ან ნაწილობრივი სამშენებლო სამუშაოები და სამოქალაქო მშენებლობის სამუშაოები
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი	45233142-გზის შეკეთების სამუშაოები
შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა	იხილეთ სატენდერო დოკუმენტაციაში
მოწოდების ვადა	2013 წლის 15 დეკემბრამდე
შეთავაზების ფასის კლების ბიჯი	2500 ლარი
გარანტიის ოდენობა	5965 ლარი

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.procurement.gov.ge

განცხადება გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ № SPA130018811

შემსყიდველი	შპს საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია
ტენდერის გამოცხადების თარიღი	27.08.2013 19:45
წინადადებების მიღება იწყება	02.09.2013 00:00
წინადადებების მიღება მთავრდება	04.09.2013 13:00
შესყიდვის სავარაუდო ღირებულება	67000 ლარი
სატენდერო განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს	დღგ-ს გათვალისწინებით
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი	30200000-კომპიუტერული მოწყობილობები და აქსესუარები
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი	30213300-მაგიდის კომბიუტერები (დესკტოპები)
შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა	სატენდერო დკუმენტაციის შესაბამისად
მოწოდების ვადა	ხელშეკრულების გაფორმებიდან 25 (ოცდახუთი) კალენდარული დღის განმავლობაში
შეთავაზების ფასის კლების ბიჯი	1000 ლარი
გარანტიის ოდენობა	670 ლარი

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.procurement.gov.ge

საქართველოს ნაკრები ისრაელში 75:77 დამარცხდა

საქართველოს კალათბურთელთა ეროვნულმა ნაკრებმა ისრაელში ადგილობრივ ნაკრებთან მორიგი საკონტროლო მატჩი გამართა და დაძაბულ ბრძოლაში 75:77 დამარცხდა. ამით ებრაელებმა ქართველებს რევანში აუღეს (ორი დღის წინათ ქალაქ ელეათში გამართული მატჩი საქართველომ 74:73 მოიგო). მიმდინარე მოსამზადებელ ციკლში ქართველები ებრაელებს სამჯერ შეხვდნენ. პირველად 9 აგვისტოს, იტალიაში, სადაც იგორ კოკოშკოვის გუნდმა ისრაელს 79:77 მოუგო.

საქართველოს ნაკრები ისრაელთან მეორე მატჩის მეორე მეოთხედში 19 ქულით იგებდა, დიდი შესვენებისთვის კი კოკოშკოვის გუნდის უპირატესობამ 15 ქულა შეადგინა. მესამე პერიოდში მასპინძლებმა 10 ქულით იმარჯვეს, ხოლო 6-წუთიანი მონაკვეთი 20:0 (!) მოიგეს და საფინალო სირენამდე 6 წუთით ადრე 71:63 დაწინაურდნენ.

ქართველებმა ბოლო წუთებზე მოგების შანსი მაინც გაიცოცხლეს, როცა გიორგი ცინცაძის 2-ქულიანს ვიქტორ სანიკიძემ 3-ქულიანი მოაყოლა და ჩამორჩენა 2 ქულამდე შეამცირა (75:77). საფინალო სირენამდე 35 წამი რჩებოდა, როცა ქართველებმა მასპინძლების შეტევა მოიგერიეს, თუმცა, რიკი ჰიკმანმა გადამწყვეტი შეტევა ვერ გამოიყენა და მატჩის ბედიც გაირკვა.

გუშინ დილით საქართველოს ნაკრები ლიტვაში გაფრინდა. ბოლო საკონტროლო მატჩს ჩვენი გუნდი 1 სექტემბერს კაუნასში, ლიტვის ნაკრებთან გამართავს, რის შემდეგაც, 2 სექტემბერს, ჩარტერული რეისით, სლოვენიაში გაფრინდება.

ამხანაგური მატჩი. ჰაიფა. ისრაელი. 28 აგვისტო

ისრაელი	77:75	საქართველო
	19 13 26 19	
	25 22 16 12	

	მოთამაშე	წთ	ქულა	მონხნა	პახი	პახი	მონხნა	ქულა	წთ	მოთამაშე		
4	რავივ ლიმონადი	7:53	2	1	0	2	2	19	33:42	გიორგი ცინცაძე	8
5	აფიკ ნისიმი	8:09	2	1	0	2	14	8	30:00	გიორგი შერმადინი	9
7	ალექსანდრ ტაიუსი				0		1	15	30:20	რიკი ჰიკმანი	10
8	ლიორ ელიაჰუ	23:17	6	4	2	3	2	2	15:54	მანუჩარ მარკოიშვილი	11
9	ომრი კასპი	27:01	14	6	1	0	1	0	20:12	ლევან ფაცაცია	12
10	გაი პინინი	22:23	6	2	1	1	6	18	32:16	ვიქტორ სანიკიძე	13
11	იოგნევ ოჰაიონი	32:07	20	2	6					ნიკა მერეველი	15
12	იოთამ ჰალპერინი	26:56	15	3	2	5	1	0	07:45	დუდა სანაძე	20
13	იდო კოზიკარო	05:11	0	1	0	0	5	6	10:00	ნიკა ცქიტიშვილი	22
14	ინივ გრინი	17:07	6	6	2	0	2	4	07:44	ბექა ბურჯანაძე	24
15	ე. კადირი	18:16	4	3	0	2	1	0	07:50	ბესო ლეჟავა	25
16	ნ. ჰანოში	11:40	2	2	1	1	1	3	04:17	ოთარ ფხაკაძე	30

მთავარი მწვრთნელი: არიკ შივეკი — მთავარი მწვრთნელი: იგორ კოკოშკოვი

მშიერი თამაშები

ზურა თალაკვაძე

ევროპის ჩემპიონატზე ვითამაშებთ. ოთხ სექტემბერს ჯერ პოლონეთს მივესალმებით და ჰალკებთან, დიდ ბიჭებთან, მოტივირებულ გოლიათებთან ქუჩური საუბარი იწყება. ცოტა ადრე, ლიტვაში რომ ევრობასკეტმა აკრიფა, იქ საქართველო აწყობილი ფაზლი იყო. ყველაფერი ყველგან ჯდებოდა და ზედმეტი დეტალი არ რჩებოდა. იგორ კოკოშკოვმა სრული, საუკეთესო შემადგენლობით დაიწყო ტურნირი და მეორე დონეზე გავედით. ლარა კროფტი მეორე დონეზე გადატვირთვის შემდეგ უფრო ლეტალური გოგონაა. საქართველო მეორე დონეზე ზაზა ფაჩულიას გარეშე გადის. და გიორგი ცინცაძეც დავკარგეთ. და მაინც ვითამაშეთ. მოუგებლად, მაგრამ საკაიფოდ. მოუგებლად, მაგრამ ვითამაშეთ. მეორე დონეზე გასვლა უკვე თემაა. და მეორე დონეზე გასვლა უკვე საინტერესო იყო. ლიტვაში ნდობა დავტოვეთ და სლოვენიაში ეს ნდობა უნდა ავიღოთ, ვინმეს წავართვათ. კი არ ვისესხოთ ან ვითხოვოთ, უნდა წავართვათ. შემდეგ ევრობასკეტამდე რომ სანდო გუნდებში ჩაგვსვან. ეს აუცილებელია. ლიტვაში საქართველო მშიერი იყო. „ღმერთის ქალაქში“ უბნელები რომ ქათმის ხორცზე არიან დაგეშილები, ასე ვიყავით ლიტვაში ჩვენც. მშიერი თამაშები სლოვენიაშიც უნდა წავიდეს. გარი როსის გარეშე. ჯენიფერ ლოურენსის გარეშე. ლაიამ ჰემსუორთის გარეშე. ჯოშ ჰათჩერსონის გარეშე. ჩვენი მშიერი თამაშები.

ჩვენი ჯგუფის ტიპებიც მზად იქნებიან ამ თამაშებისთვის. გავიაროთ.

ესპანეთი ტრადიციულად მშიერია. ყველა ევრობასკეტზე ურიგოდ მიდის საერთო მაგიდასთან, ცოტ-ცოტას ყველაფერს იღებს საინზე და დეგუსტატორები მზად არიან შემდეგი კერძისთვის. არა აქვს მნიშვნელობა, ვინ არის ესპანეთი. პო გასოლი ისვენებს და სიმაღლეს მარკი აკონტროლებს. ხუან კარლოს ნავარო პოკერს უბერავს და აგრესიის პროცესს სენიორ კალდერონი აკონტროლებს. და იწყება კორიდა. მშიერი ხარების და ელესდეზე დამჯდარი მატადორების კორიდა. მშიერი ჰალუცინაციების კორიდა. იქ ესპანეთი იგებს.

სლოვენიაც მშიერია. ბენო უდრიხი ცელქობს, ხან მოსულა, მანდ ვარ ძმებო, ვითამაშებო, ისვრის სიტყვებს და ხან - არა, ტო, უნდა დავისვენოთი იძინებს ჰამაკში. უდრიხთან ერთად სლოვენია ჯონი დეპია. უდრიხის გარეშე სლოვენია ჩვეულებრივი ტიპია. ბენ აფლეკი ან მეტ დეიმონი. დეიმონი უფრო მსახიობია და აფლეკი უკვე კარგი რეჟისორი გახდა, მაგრამ იდეაში ძმაკაცები დეპის უკან სხედან. სლოვენიაც სხვების უკან ჩამოჯდება. სლოვენია კარგი, მაგრამ ჩვეულებრივი გუნდი იქნება. არბალეტით, ჯონ რემბოს დანით. Hungry bitch.

პოლონეთი ტრენაჟორებით დადის. სულ „კაჩაობს“, სულ ფორმაშია, სულ კაცობს და არ იცის, მშიერი თამაშები ბოლომდე როგორ უნდა გაიაროს. პოლონეთი მარჩინ გორტატის აგრესია და ამ ცოტა ბრექი პერსონაჟის სტამინაა. პოლონეთი მაჩეი ლამპეს ხელები, კლასი და Go Fuck Yourself გამოხედვაა. პოლონეთმა სადღაც უნდა მოიგოს. თუ მომენტს არ გამოტოვებს. თუ არ იკაცებს. ევრობასკეტზე გამძლე მოთამაშეები იგებენ. კაცებს აგდებენ. უინტელექტო ძალა მოთამაშის სისუსტე ხდება. პოლონეთმა უნდა გაძლოს. და თუ გაძლებს, ბოლომდე მივა. პოლონეთი მეორე დონეზე გასვლის ჩელენჯერია. გორტატი და ლამპე. იწყება. მოაქვს.

ჩეხეთი ჩეხეთია. კალათბურთში არ არის დომინიკ ჰაშეკი, რომელმაც ნაგანოში ფიოდოროვს, ბურეს, კრემლს ოცნება და ოქროს მედლები წაართვა. კალათბურთში არ არის იარომირ იაგრი, რომელიც ზარმაცი გენიოსია და მოსაგებს ყოველთვის იგებდა. და იგებს. და მოიგებს. კალათბურთში არ არის პაველ ნედვედი, რომელიც იქოქება და დაუღალავად დარბის. და იგებს. ალესანდრო დელ პიეროსთან ერთად. იგებდა. კალათბურთში არ არიან დომინატორები და გენიოსები. კალათბურთში ჩეხეთი უბრალოდ ჩეხეთია და მზად რის.

ხორვატია კალათბურთია. ხორვატია დრაჟენ პეტროვიჩი იყო. ხორვატია კალათბურთში ფერე და კავალი იყო. და ხორვატია სლოვენიაში ძალიან კარგი გუნდით ჩადის. რეალურად კარგი გუნდით. და ხორვატიას მეორე დონეზე გასვლა უნდა. რთული თამაში იქნება. ძალიან ადრე, 49 წლის წინ, ხორვატიამ პირველი ოფიციალური ტესტი ჩააბარა. ამერიკის დაუნდობელი შტატების ნაკრებთან. და 65:110 წააგო. იმ ხორვატიაში იყვნენ ნემანია დიურიჩი, იმ გენერაციის კასუნი, სლობოდან კოლაკოვიჩი, დრაგან კოვაჩიჩი, ბორის კრიჟანი, მირკო ნოვოსელი, სხვა კარგი ბიჭები. ამერიკის ნაკრების ღირებას იცავდნენ ბობი კუზი, ტომი ჰეინსონი, ქეი სი ჯოუნსი, ჯერი ლუკასი, ბობ პეტიტი, ოსკარ რობერტსონი და მისტერ კალათბურთი - ბილი რასელი. ხორვატიამ 30 წლის წინ დაკარგა დრაჟენ პეტროვიჩი. ავარიაში დაკარგა. ხორვატია დღესაც დრაჟენია. ხორვატია პეტროვიჩის უბანია. თავისი მორცხვი სკვერით, სადაც პატარა სკამზე დრაჟენის მეგობრები ჩამოსხდებიან და ერთმანეთს იმ დიდი ბიჭის ამბებს ახსენებენ. ხორვატიაში მეგობრობა იციან. ხორვატია თამაშებისთვის მზად არის.

და სლოვენიაში ჩვენც ვიქნებით. ბევრს ჩვენი მოგება მეგობრულად გაუხარდება. ბევრს ჩვენი ვერმოგება უფრო გაუხარდება. არჩევნები მოდის. მურტალი თემაა. მურტალი და საკაბინეტო დონეზე გაშლილი ბინძური თამაშებით. აი, რეალურად მშიერი და უპრინციპო ტიპები იქ არიან. მწვრთნელები, რომლებიც ვერ მწვრთნელობენ და მწვრთნელობა უნდათ. ფუნქციონერები, რომლებიც უფუნქციო დაუნები არიან და მაინც ჩალიჩობენ. სლოვენიაში ამაზე არ უნდა ვიფიქროთ. სლოვენიაში არ იქნება ზაზა ფაჩულია. სლოვენიაში არ იქნება თორნიკე შენგელია. სლოვენიაში იქნება იგორ კოკოშკოვი. და სლოვენიაში კოკოშკოვს ბევრი მეგობარი უნდა ჰყავდეს. იგორიც ჩვენი მეგობარია. გიო შერმადინმა უნდა გაძლოს, გიო ცინცაძემ უნდა გაძლოს და სხვებმა უნდა გაიგონ, რომ ეს საქართველოს ღირსებაა და არა პირადული პონტების დაკმაყოფილება. გამგები გაიგებს და დანარჩენებმა დაისვენეთ. მშიერი თამაშებისთვის საქართველოც მზად იქნება. უკვე მზად ვართ. მზად ვიქნებით. გავიხსენოთ, რომ ხორვატიაში მეგობრობა იციან და ხორვატია ამ თამაშებისთვის მზად არის. გავიხსენოთ, რომ სლოვენია სლოვენიაში ითამაშებს. და მზად არის. გავიხსენოთ, რომ პოლონეთი გორტატით ჩამოვა და ალბათ, მოგვაწვება. გავიხსენოთ, რომ ჩეხეთმა თითო იაგრი ან ჰაშეკი შეიძლება კალათბურთშიც მონახოს. გავიხსენოთ, რომ ესპანეთი ესპანეთია. მშიერი ხარების და ელესდეზე დამჯდარი მატადორების კორიდა. გავიხსენოთ, რომ ევრობასკეტზე ევრობასკეტის გარდა არაფერი არ უნდა გავიხსენოთ. ცოტა ხანს მეგობრები ვიყოთ. ადამიანებიც. და ნუ ვეცდებით ერთმანეთის გამოყენებას, ხმარებას, მოტყუებას. ერთი ევრობასკეტით ნუ ვეცდებით და მერე ვიქართველოთ. მოსულა?

ევროპის ჩემპიონატზე ვითამაშებთ. ოთხ სექტემბერს ჯერ პოლონეთს მივესალმებით და ჰალკებთან, დიდ ბიჭებთან, მოტივირებულ გოლიათებთან ქუჩური საუბარი იწყება. ცოტა ადრე, ლიტვაში რომ ევრობასკეტმა აკრიფა, იქ საქართველო აწყობილი ფაზლი იყო. ყველაფერი ყველგან ჯდებოდა და ზედმეტი დეტალი არ რჩებოდა. იგორ კოკოშკოვმა სრული, საუკეთესო შემადგენლობით დაიწყო ტურნირი და მეორე დონეზე გავედით. ლარა კროფტი მეორე დონეზე გადატვირთვის შემდეგ უფრო ლეტალური გოგონაა. საქართველო მეორე დონეზე ზაზა ფაჩულიას გარეშე გადის. და გიორგი ცინცაძეც დავკარგეთ. და მაინც ვითამაშეთ. მოუგებლად, მაგრამ საკაიფოდ. მოუგებლად, მაგრამ ვითამაშეთ. მეორე დონეზე გასვლა უკვე თემაა. და მეორე დონეზე გასვლა უკვე საინტერესო იყო. ლიტვაში ნდობა დავტოვეთ და სლოვენიაში ეს ნდობა უნდა ავიღოთ, ვინმეს წავართვათ. კი არ ვისესხოთ ან ვითხოვოთ, უნდა წავართვათ. შემდეგ ევრობასკეტამდე რომ სანდო გუნდებში ჩაგვსვან. ეს აუცილებელია. ლიტვაში საქართველო მშიერი იყო. „ღმერთის ქალაქში“ უბნელები რომ ქათმის ხორცზე არიან დაგეშილები, ასე ვიყავით ლიტვაში ჩვენც. მშიერი თამაშები სლოვენიაშიც უნდა წავიდეს. გარი როსის გარეშე. ჯენიფერ ლოურენსის გარეშე. ლაიამ ჰემსუორთის გარეშე. ჯოშ ჰათჩერსონის გარეშე. ჩვენი მშიერი თამაშები.

Hunger Games.

წილი ნაყარია

მონაკოში ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის კენჭისყრა გაიმართა. 8 ჯგუფში კლუბები ასე დაწყვილდნენ:

A ჯგუფი: «მანჩესტერი», «შახტარი», «ლევერკუზენი», «სოსიედადი».

B ჯგუფი: «რეალი», «იუვენტუსი», «გალათასარაი», «კოპენჰაგენი».

C ჯგუფი: «ბენფიკა», პსჟ, «ოლიმპიაკოსი», «ანდერლეხტი».

D ჯგუფი: «ბაიერნი», ცსკა, «სიტი», «ვიქტორია პლზენი».

E ჯგუფი: «ჩელსი», «შალკე», «ბაზელი», «სტიაუა».

F ჯგუფი: «არსენალი», «მარსელი», «დორტმუნდი», «ნაპოლი».

G ჯგუფი: «პორტუ», «ატლეტიკო», «ზენიტი», «აუსტრია».

H ჯგუფი: «ბარსელონა», «მილანი», «აიაქსი», «სელტიკი».

ჯგუფური ეტაპის პირველი ტურის მატჩები 17-18 სექტემბერს ჩატარდება.

17 წლამდელები მესამე ადგილისთვის დანიას ხვდებიან

საქართველოს 17 წლამდელთა საფეხბურთო ნაკრებმა პოლონეთში მიმდინარე ტრადიციული საერთაშორისო ტურნირის (Syrenka Cup) პირველი მატჩი ნორვეგიასთან 1:1 ითამაშა, გამარჯვებულის ბედი კი პენალტების სერიამ გადაწყვიტა, რომელიც საქართველოს გამარჯვებით დასრულდა. ჩვენმა გუნდმა ნახევარფინალში მასპინძელ პოლონეთთან თამაშის უფლებაც მოიპოვა (პოლონეთმა კვიპროსი დაამარცხა 5:0).

საქართველოსა და პოლონეთის მატჩი მასპინძელთა გამარჯვებით - 2:1 დასრულდა. ნოდარ აკობიას შეგირდებს პოლონეთთან წაგების შემდეგ დღეს მესამე ადგილისთვის მატჩში დანიასთან მოუწევთ ურთიერთობის გარკვევა - სკანდინავიელებმა ნახევარფინალში უკრაინასთან პენალტებით წააგეს.

შარშან საქართველოს 17 წლამდელთა გუნდი, რომელსაც გორის „დილას“ ახლანდელი დამრიგებელი გიორგი დევდარიანი წვრთნიდა, ამავე ტურნირის ფინალში დანიასთან 1:2 დამარცხდა.

გრიგალავა „ანჟიში“ გადაჰყავთ

საქართველოს საფეხბურთო ნაკრების მცველი გია გრიგალავა უახლოეს ხანებში მახაჩყალის „ანჟის“ რიგებს შეავსებს. სამარას „კრილია სოვეტოვის“ მთავარი მწვრთნელის მოვალეობის შემსრულებელმა ალექსანდრ ციგანკოვმა დაადასტურა, რომ, სამარელთა სამი მოთამაშე (გია გრიგალავა, ბენუა ანგბვა, ილია მაქსიმოვი) უახლოეს ხანში „ანჟიში“ ჩაირიცხებიან.

„ანჟიმ“ მოგვმართა წინადადებით, დავუთმოთ სამი ფეხბურთელი. მათთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას უახლოეს მომავალში მივიღებთ. საუბარია როგორც იჯარაზე, ისე მათ ყიდვაზე“, - ამბობს ციგანკოვი, რომელიც მახაჩყალურ გუნდში გადასული გაჯი გაჯიევის ადგილს იკავებს „კრილია სოვეტოვში“.

რუსული პრესის ცნობით, სამივეში მახაჩყალელებმა 10 მილიონი ევრო გადაიხადეს. გრიგალავა „კრილიაში“ მიმდინარე ზაფხულს, ნიჟნი ნოვგოროდის „ვოლგადან“ გადავიდა. მას შემდეგ, რაც სამარელთა ყოფილი მწვრთნელი გაჯი გაჯიევი“ანჟის“ ჩაუდგა სათავეში, მან თავის გუნდში ქართველი მცველიც მიიწვია.

...მიმდინარე სეზონში 24 წლის გრიგალავამ „კრილია სოვეტოვში“ ხუთ მატჩში მიიღო მონაწილეობა.

უსეინ ბოლტი: «რიოში ოქროს მოგება გმირობა იქნება“

იამაიკელმა სპრინტერმა უსეინ ბოლტმა, რომელიც ახლახან მოსკოვის მსოფლიოს ჩემპიონატზე 100 და 200 მეტრზე რბენასა და 4X100 ესტაფეტაში ჩემპიონი გახდა, ციურიხში მოწყობილ პრესკონფერენციაზე რიო დე ჟანერიოს ოლიმპიურ თამაშებთან დაკავშირებით თავის გეგმებსა და მიზნებზე ისაუბრა.

„რიო დე ჟანეიროში ოქროს მედლის მოგება ნამდვილი გმირობა იქნება, - ამბობს პლანეტის უსწრაფესი ადამიანი. - ჩემი მთავარი მიზანი ტიტულების დაცვაა. ჯერ არ ყოფილა შემთხვევა, რომ ვინმეს ზედიზედ სამ ოლიმპიურ თამაშებზე სპრინტში გაემარჯვებინოს. მეოთხე დისციპლინის დამატებას არ ვაპირებ“.

ბოლტის საჩემპიონო ყულაბაშია პეკინისა და ლონდონის ოლიმპიური თამაშების ექვსი ოქროს მედალი (100 და 200 მეტრზე რბენასა და 4X100 ესტაფეტაში. აღარაფერს ვამბობთ მსოფლიო ჩემპიონატების რვა ოქროსა და ორი ვერცხლის მედალზე.).


PHOTOGRAPHED BY FRED MEYLAN
ELITE MODEL LOOK CASTING 2013
N°1 MODEL SEARCH WWW.ELITEMODELLOOK.COM/GE
21 JULY KUTAISI Opera House 14:00 - 17:00
23 JULY GORI Gamarjveba Movie Theatre 14:00 - 16:00
26 JULY GURJAANI Cultural Centre 14:00 - 16:00
29 JULY ZUGDIDI Art Gallery 14:00 - 17:00
17 AUGUST BATUMI Hotel Intourist 14:00 - 17:00
18 AUGUST OZURGETI Theatre Hall 14:00 - 16:00
07 SEPTEMBER TBILISI Tbilisi Mall 14:00 - 18:00
elite 2013
MODEL LOOK
GEORGIA
MODEL MANAGEMENT
kikala studio
MAX
OUtdooR.ge
MSG
ADSSPRINT
McCANN
Curves
myVIDEO.GE
LUXURY
ego
GHN
ANGEL
24 Saati
allMovies.ge
Pink